საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკი სიფცვაა, ფცეილებით და ჭიბებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 4 თებერვალი. 2020 წ. №20 (8946) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

როგორ მოატყუეს ჩინელებმა ვირუსის დახმარებით მსოფლიო?

ახალი ტიპის კორონავირუსის გავრცელების შემდეგ, ჩინეთმა საინტერესო ეკონომიკური სვლა განახორციელა და მთელი მსოფლიო გააცურა. შედეგად, რამდენიმე დღეში 20 მილიარდზე მეტი მიიღო და დაიბრუნა საკუთარი მონოპოლიების აქციების დაახლოებით, 30%.

სი ძინპინმა მოხერხებულად გააბრიყვა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა და ამერიკა, მთელი მსოფლიოს თვალწინ, ყველაფერი ისე გაითამაშა, როგორც სურდა.

როგორც ცნობილია, ჩინური ტექნოლოგიური კომპანიების აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოელ ინვესტორებს, მათ შორის ამერიკელებს და ევროპელებს ეკუთვნოდა. რაც ნიშნავს, რომ მძიმე და ქიმიური მრეწველობების შემოსავლის თითქმის ნახევარი ჩინეთის ხაზინაში კი არა, დასავლური ფინანსური კორპორაციების ჯიბეებში მიედინებოდა. უხანში განვითარებული მოვლენების შედეგად, იუანმა მკვეთრი დაცემა დაიწყო, მაგრამ ცენტრალური ბანკი ამის შესაჩერებლად არაფერს აკეთებდა. იმასაც კი ამბობდნენ, რომ ჩინეთს კორონავირუსთან გასამკლავებლად სამედიცინო ნიღბებიც კი არ ჰყოფნიდა. ამ ხმებმა და სი ძინპინის განცხადებამ, რომ უხანის მოსახლეობის დასაცავად ყველაფერს იღონებს, ჩინეთის ტექნოლოგიური კომპანიების აქციებზე ფასების დაცემა გამოიწვია და დასავლეთის ფინანსურმა კორპორაციებმა აქციების გასაყიდად გამოტანა დაიწყეს.



სი ძინპინი მთელი კვირა ელოდა პრესკონფერენციებზე მხოლოდ იღიმებოდა. როცა აქციები თითქმის გაუფასურდა, მან განკარგულება გასცა, ყველა ევროპული და ამერიკული კორპორაციის აქციები ერთდროულად შეეძინათ.

როცა დასავლელი ფინანსისტები მიხვდნენ, რომ ისინი გააცურეს, ძალიან გვიან იყო — აქციები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელში აღმოჩნდა. საბოლოოდ, ჩინეთმა 20 მილიარდ დოლარზე მეტი მიიღო და საკუთარი კომპანიების აქციებიც დაიბრუნა. ამიერიდან ტექნიკისა და ქიმიის წარმოებით მიღებული შემოსავალი ქვეყანაში დარჩება. იუანმა ბუნებრივად გამყარებაც დაიწყო, ხოლო ევროპისა და ამერიკის ფინანსური ბოსები ხელცარიელი დარჩნენ. მათ კაპიკებად დაკარგეს აქციები, რომლებსაც მილიარდობით დოლარის შემოსავალი მოაქვთ. ასეთი ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაცია საფონდო ბირჟას ჯერ არ ახსოვს.

გაკიბოებული ოპოზიციის პირისპირ ③

რით უპასუხებს ხელისუფლება ② პარლამენტის პიკეტირებას

ვარდუა მკითხავ ④ სერგი კაპანაძეს ავი წინათგრძნობა აქვს...

ნატოს ყველაზე ფართო- ⑧ მასშტაბიანი წვრთნა

9 დუელის ისტორია საქართველოში ⑪

ნაღმებთან ახლოს ბაზრობების და ბენზინგასამართი სადგურების ქალაქი ⑤

ინვესტორთა საბჭოს სხდომა გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით

საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა, კერძო სექტორის კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობის პერსპექტივები, გადახდისუუნარობის ახალი კანონპროექტი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და კერძო სექტორისთვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხები განიხილეს ინვესტორთა საბჭოს რიგით მე-11 სხდომაზე, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას თავმჯდომარეობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

„მიგვაჩნია, რომ ინვესტორთა საბჭო მნიშვნელოვანი პლატფორმაა მთავრობასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობისთვის. როგორც მოგეხსენებათ, სწრაფი ეკონომიკური ზრდა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია და, რა თქმა უნდა, ჩვენ მზად ვართ, გავაღრმაოთ თანამშრომლობა კერძო სექტორთან ინვესტორთა საბჭოს პლატფორმის ფარგლებში,“ — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

რიგით მე-11 სხდომაზე პრემიერმა ინვესტორთა საბჭოს ახალი მდივანი გიორგი ჩერქეზიშვილი წარადგინა, ასევე საბჭოს ახალი წევრები — გერმანიის ბიზნესასოციაცია და ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია.

სხდომაში, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კავკასიის რეგიონულმა დირექტორმა, კატარინა ბიორლინ ჰანსენმა. მისი თქმით, ინვესტორთა საბჭო უნიკალური პლატფორმაა, სადაც მთავრობა და კერძო სექტორის წარმომადგენლები ღიად საუბრობენ ყველა აქტუალურ საკითხზე.

საუბარი შეეხო საინვესტიციო გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესების მიმართულებით სხვადასხვა საკითხს, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს, რაზეც, საბჭოს ერთიანი პოზიციის შესაბამისად, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ კერძო სექტორთან კონსულტაციებისა და დეტალური განხილვის შემდგომ იქნება მიღებული.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ინვესტორთა საბჭოს რიგით მე-11 სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მინისტრები, საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩი ჯასტინ მაკენზი სმიტი, საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი მაიკლ ქაუგილი, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს გენერალური მდივანი ზვიად ჭუმბურიძე, ბიზნესმბუდსმენი, ბიზნესასოციაციის პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე და სხვა ადგილობრივი და უცხოური ბიზნეს-ორგანიზაციების წარმომადგენლები.

„ცხელი გაზაფხულის“ დღეები მოდის!

რით უპასუხებს ხელისუფლება პარლამენტის პიკეტირებას

ოპოზიციის მიერ დაგეგმილ პარლამენტის პიკეტირებას მმართველი გუნდის წევრები კანონდარღვევად აფასებენ. მმართველ გუნდს ერთიანი და მყარი პოზიცია აქვთ, პიკეტირების შემთხვევაში პროცესები სამართლებრივად წარიმართება. პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის გია ვოლსკის განცხადებით, ოპოზიციის მხრიდან საკანონმდებლო ორგანოს პიკეტირებას არავითარი კავშირი არ აქვს იმ პროცესთან, რასაც საარჩევნო კოდექსზე მსჯელობა ჰქვია, ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აქცია.

დეპუტატის თქმით, ეს არ არის პარლამენტის პიკეტირება, ეს არის იმ საკითხების პიკეტირება, რომელიც მთელ რიგ მიმართულებებს ეხება და საზოგადოების ინტერესებზეა ორიენტირებული.

„ეერძოდ, ეს არის სოფლის მეურნეობის საკითხები, ასევე ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხები, რომელიც პარლამენტმა უნდა განიხილოს და თავისი ფუნქცია შეასრულოს ხალხისა და ქვეყნის წინაშე. სწორედ ამის პიკეტირება ხდება. ასეთი პიკეტირებით ვითომდა საარჩევნო სისტემაზე მოლაპარაკების წარმატებაზე საუბრობენ, რაც ტყუილია“, — განაცხადა ვოლსკიმ.

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით კი პარლამენტის პიკეტირებას მიუღებელია და ამას მოჰყვება შესაბამისი რეაგირება, როგორც სხვა შემთხვევებში.

უმრავლესობის ლიდერის **მამუკა მდინარაძის** განცხადებით კი დემოკრატიაში რაღაც ფასის გადახდა ყველა სახელმწიფოს უწევს, ვისაც უნდა დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესება და დემოკრატიული ღირებულებების ერთგულება.

მისივე განცხადებით, ნამდვილი სირცხვილი ის არის, „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტები „სირცხვილის კორიდორებს“ სხვა ვინმეს რომ უკეთებენ.

„თუ მათ ნამდვილად უნდათ, რომ ოპონირების რეჟიმში შევიდნენ და ვიკამათოთ მათთან რაიმე თემაზე, მათ შეუძლიათ, ეს 30-40-კაციანი აქციებიც გააგრძელონ, შემოვიდნენ და აქაც ვიკამათოთ რეალურ თემებზე, რეალურ გამოწვევებზე, იმაზე იყო თუ არა შეცდომა, დაპირებისგან უკან წასვლა, გადაწყვეტილების აუსრულებლობა, იყო თუ არა სპექტაკლი თუ შიდადემოკრატიული პროცესი. ამ თემებზე სალაპარაკოდ არ შემოდიან ერთადერთი მიზეზით — ამ არგუმენტებში აუცილებლად დამარცხდებიან. შემდეგ ვერ გაუგზავნიან ჩვენს პარტნიორებს და მეგობრებს ყალბ და „ფეიკ-ნიუსებს“. ამ კამათში გამოიკვეთება სიმართლე და სიმართლე გამოიკვეთება, მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარისა და ვიცე-სპიკერის ამერიკაში ვიზიტის დროს, სადაც ვამხელთ იმ „ფეიკ ნიუსებს“, რომელზე დაყრდნობითაც გარკვეული განცხადებები კეთდება“, — განაცხადა მდინარაძემ.

როგორც გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ნინო წილოსანმა ოპოზიციის პოლიტიკური ბოიკოტის კომენტირებისას განაცხადა, ოპოზიცია დარჩება ქუჩაში ლოზუნგების გასახმოვანებლად მაშინ, როცა ჩვენ მნიშვნელოვან კანონპროექტებს მივიღებთ.

დეპუტატის თქმით, საპარლამენტო საქმიანობაში არმონაწილეობით, ოპოზიციის მხრიდან ადგილი აქვს იმ ნდობაზე უარის თქმას, რაც მოსახლეობამ მათ გამოუცხადა.

„დამამშვიდებელი განცხადება გააკეთეს, რომ თურმე პარლამენტში შემოსვლის საშუალებას მოგვცემენ, თუმცა მათ ვეტყვი, რომ ნორმალურ ქვეყნებში დეპუტატები პარლამენტში შესვლას შეძლებენ ნებისმიერი წინააღმდეგობის მიუხედავად და სახელმწიფო თავის ადგილზე იქნება“, — განაცხადა წილოსანმა.

არჩილ თალაკვაძე: უკლებლივ ყველა მინისტრი იქნება ანგარიშვალდებული პარლამენტის წინაშე

პარლამენტის **რეგლამენტით გათვალისწინებული „მინისტრის საათის“ ფორმატში საკანონმდებლო ორგანოში მინისტრების მოსმენა მიმდინარე წლის თებერვლიდან სექტემბრის ჩათვლით იგეგმება.**

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

„აქ არის წარმოდგენილი 2020 წლის „მინისტრის საათის“ კალენდარი, სადაც როგორც იყო დაპირება, წარდგებიან მინისტრები თებერვლიდან სექტემბრის ჩათვლით. უკლებლივ ყველა მინისტრი იქნება ანგარიშვალდებული პარლამენტის წინაშე. ჩვენ მოვემზადებით და, რა თქმა უნდა, ყველა კითხვა და საკითხი იქნება განხილული. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი წარსდგება პირველ პლენარულ სესიაზე, როგორც იყო შეთანხმება და დაპირება“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

ჩვენი პარტნიორები სიმართლეს მალე გაიგებენ

საგარეო **პოლიტიკის მიმართულებით ძალიან აქტიური მუშაობა მიმდინარეობს,** — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ საკანონმდებლო ორგანოს ბიუროს სხდომაზე განაცხადა. პარლამენტის სპიკერმა დაგეგმილ ვიზიტებზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს პროგრესისა და ხედვის შესახებ პარტნიორები სათანადოდ იქნებიან ინფორმირებული.

„მინდა, მადლობა გადავუხადო კოლეგებს, რომლებმაც უკვე მიიღეს ევროპის საბჭოს ფორმატში მონაწილეობა, სამუშაო შეხვედრებსა და სესიებში, ასევე ევროპარლამენტის მიმართულებით ჩვენ ძირითად სტრატეგიულ პარტნიორებთან. უკვე დაგეგმილია ოთხზე მეტი მაღალი დონის ვიზიტი, რომელთა განხორციელებაც ამ კვირიდან დაიწყება. ასე რომ, ამ მიმართულებითაც ძალიან აქტიური იქნება პარლამენტი და იმედი მაქვს, საქართველოს პროგრესი და გეგმები, რაც მთავარია, მომავალთან დაკავშირებული ხედვა ყველა ჩვენს პარტნიორთან სათანადოდ იქნება მიტანილი“, — განაცხადა ბიუროს სხდომაზე არჩილ თალაკვაძემ.

პრეზიდენტის რიგით მეორე საპარლამენტო ანგარიში

პრეზიდენტის **რანგში სალომე ზურაბიშვილს პარლამენტისთვის რიგით მეორე წლიური ანგარიშის წარდგენა მოუწევს. პრეზიდენტის მხრიდან ანგარიშის წარდგენა გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით.**

რეგლამენტის თანახმად, როგორც წესი, პარლამენტი ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების პირველ დღეს ისმენს. რაც შეეხება პრეზიდენტის მოსმენის ფორმატს, ქვეყნის პირველი პირის გამოსვლის შემდეგ სიტყვით გამოდიან იმ ფრაქციების თავმჯდომარეები, რომლებიც არ არიან გაერთიანებული უმრავლესობაში ან უმცირესობაში, ასევე უმცირესობისა და

უმრავლესობის ლიდერები. სალომე ზურაბიშვილმა პრეზიდენტის რანგში პარლამენტს პირველი ანგარიში გასული წლის 6 მარტს წარუდგინა.

„ოცნების“ ყოფილი დეპუტატები „ლელოში“ გაწევრიანებას არ ადასტურებენ

„ქართული ოცნებიდან“ წამოსული დეპუტატები თამარ ჩუგოშვილი და თამარ ხულორდავა, შესაძლოა, პოლიტიკურ გაერთიანებას „ლელო-საქართველოსთვის“ შეუერთდნენ. აღნიშნულ ინფორმაციას „2020NEWS“-თან თამარ ჩუგოშვილი არ ადასტურებს.

„არა, არ ვადასტურებ. მცდარი ინფორმაცია გაქვთ“, — გვითხრა თამარ ჩუგოშვილმა.

„ლელოში“ გაწევრიანებას არ ადასტურებს არც თამარ ხულორდავა. როგორც დეპუტატმა „2020NEWS“-ს განუცხადა, ის ამჟამად არცერთ პოლიტიკურ პარტიასთან გაერთიანებას არ აპირებს.

„ამ ინფორმაციას, რა თქმა უნდა, არ გიდასტურებთ. პოლიტიკურ კონსულტაციებს არცერთ პარტიასთან არ ვაწარმოებ“, — განაცხადა თამარ ხულორდავამ.

სააკაშვილი და მერაბიშვილი ივანიშვილის ლიკვიდაციას გეგმავდნენ!..

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე **სოსო გოგაშვილი** ხაზგასმით ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციას აპირებდნენ. მისივე თქმით, ისინი ახმედ ჩატაევის ტერორისტულ დაჯგუფებას აფინანსებდნენ და ივანიშვილის ლიკვიდაციაც სწორედ ამ დაჯგუფების საშუალებით იგეგმებოდა.

— ჩატაევი პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა ნაციონალურ მოძრაობასთან. ფინანსდებოდა ვანო მერაბიშვილის და მიხეილ სააკაშვილის მიერ. ეს დანაყოფი შექმნეს იმის გამო, რომ ნებისმიერი პრობლემა გადაეჭრათ პირადი მიზნებისთვის. რომელიმე პოლიტიკური ოპონენტი იქნებოდა ეს თუ მათთვის მიუღებული ოპონენტი, მიშას და ვანოს გარკვეული ინფორმაცია ჰქონდათ, რომ „ქართული ოცნება“ საარჩევნოდ სერიოზულ რესურსს კრებდა მოსახლეობის სახით და ერთ ვერსიად გაჟღერდა, რომ ახმეტაში მათ უნდოდათ ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია. ამას ზუსტად ამ ფარული ჯგუფის საშუალებით აკეთებდნენ, რომელსაც მერე ჩახოცავდნენ, — განაცხადა გოგაშვილმა „იმედთან“ ინტერვიუში.

ახმედ ჩატაევი 2012 წლის 28 აგვისტოს ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დააკავეს. ჩატაევს ასაფეთქებელი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება ედებოდა ბრალად, რაც სასჯელის სახით 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა.

თუმცა, ხელისუფლების ცვლილებიდან ორ თვეში, 2012 წლის 6 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნით, ახმედ ჩატაევი 5 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. 2013 წლის 18 იანვარს კი „დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო“ მთავარმა პროკურატურამ მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვიტა. ჩატაევს გირაოს სახით გადახდილი 5 000 ლარიც უკან დაუბრუნდა. 2013 წლის ბოლოს მან ქვეყანა დატოვა, ორ წელიწადში კი, ცნობილი გახდა, რომ ჩატაევი ISIS-ს შეუერთდა...

გაკიბოებული ოპოზიციის პირისპირ

როცა მკვლელები ციფრებს აზუსტებენ...

ერთი თვე გავიდა 2020 წლის დაწყებიდან და ნაციონალური მოძრაობა თავის ე.წ. სატელიტებთან ერთად ნელ-ნელა შლის ფრთებს წინასაარჩევნო პერიოდის აპოკალიფსურ ფორმატში გადასატანად.

ბუნებრივია, ამ მისიას ისინი საკმაოდ კარგად არამივენ თავს თუნდაც იმ საკმაოდ სერიოზული ფაქტორის გათვალისწინებით, რომელიც ქართული ჟურნალისტიკისთვის ახალი, სრულიად მარაზმატული ფორმატის – ეთერში ყველაფერში სკანდალი, მაქსიმალურად დაძაბე მაყურებელი, გყავდეს მუდმივად ერთი და იგივე, ყოვლად უსაგნო რესპონდენტები და სხვა, მრავალ მიუღებელ რეპორტაჟსა თუ სტატიას გულისხმობს.

ამ მოცემულობაში ხელისუფლება და ხალხის ნორმალურად მოაზროვნე უმრავლესობა უძლურია, რადგანაც ნაცებს მთლიანად აქვთ ოკუპირებული საინფორმაციო სივრცე და ორიოდ გადაცემა თუ სტატია ამინდს ნამდვილად ვერ ქმნის.

ხშირად დამიმუნათებია ხელისუფლება უმოქმედობაში, სახელმწიფო სტრუქტურების პიარ-ჯგუფების ნაცურ მენტალობაში, მაგრამ ჩემი ხმა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა“ და შედეგს დღეს თავადაც კარგად ხედავენ.

აპოკალიფსური სურათის მოსამზადებელი სამუშაოები იანვარში შემდეგი სახით განვითარდა: ჰუმან რაიოს ვოთჩის „კვლევა“ და რამდენიმე დღეში NDI-ის ანალოგიური „გამოხტომა“. ამათ მოჰყვა „კონგრესმენების მიერ მუდმივად გამოგზავნილი „წერილები“.

ცხადია, ეს ყველაფერი პიარის მხრივ შესაბამისად „შეიფუთა“ და მოხდა ე.წ. აპოკალიფსური განწყობის საწყისი საფეხურის ჩამოყალიბება.

თუ აქამდე ბოლომდე არ იყო გარკვეული ნაცების საბოლოო მიზანი და ხდებოდა მკითხაობა „რევოლუციურ სცენარსა“ და ლოზუნგით – ჩვენ ძალიან მაგრები ვართ, უბრალოდ თქვენ ვერ ხედავთ, 800000 მხარდამჭერი გვყავს, მხოლოდ თქვენ ხართ ამოვარდნილი ამ საერთო ფერხულიდან, დროზე გამოფხიზლდით და მხარში დაგვიდექითო, შორის, დღეს ფაქტობრივად უკვე გაცხადდა ის დასასრული, რისკენაც ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ.

გამომდინარე იმ მარტივი ჭეშმარიტებიდან, რომ თავად ნაცებმაც კარგად იცინ, თუ როგორ კეთდება რეიტინგები, როგორ მიმდინარეობს ე.წ. კვლევები და ძალიან კარგად ხედავენ იმ უტყუარ სურათს, სადაც მათ საპარლამენტო არჩევნებში, შესაძლოა, მცირე ზღვარიც ვერ გადალახონ, მოძებნეს საკმაოდ მსუყე, მაგრამ ამაზრზენი გამოსავალი – დასავლეთისა და ჩვენი პარტნიორების მხრიდან, 2020 წლის არჩევნების არაკანონიერად ცნობა.

ეს იდეა იმდენად არის მათს ავადმყოფ ტვინებში გამჯდარი და იმდენად სჯერათ საერთაშორისო ინსტიტუტებთან ურთიერთობაში თავიანთი შესაძლებლობების, რომ აღარაფრად დაგიდევენ არსებულ სინამდვილეს და უკვე პირდაპირ აკეთებენ განცხადებებს არჩევნების არაკანონიერად ცნობის შესახებ.

ამ მიზნისთვის ისინი აშკარა ტყუილებს და მუქარასაც არ ერიდებიან.

მაგალითისთვის ორიოდე დღის წინათ გავრცელებულ ინფორმაციას მოვიყვან: ბაქრაძე – დოკუმენტი, რომელიც PACE-მ (ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა) მიიღო, არის პირდაპირი საფუძველი სამომავლოდ არჩევნების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებისთვის.

„მაღალრეიტინგულმა“ დავით ბაქრაძემ თავისი ამ განცხადებით დაადასტურა, რომ ე.წ. „ოპოზიციური სპექტრის“ (კონკრეტულად ნაცებისა და ევრონაცების, თორემ დანარჩენ 30 ცალს მაგის თავი სადა აქვს) მთავარ მიზანს არა არჩევნებისთვის მომზადება და ღირსეული ფორმით ელექტორატის წინაშე წარდგომა წარმოადგენს, არამედ საზოგადოებაში ისეთი განწყობის შექმნა, რომ თითქოსდა დასავლეთი 2020-ში ჩასატარებელი არჩევნების კანონიერებას არ ცნობს.

ბაქრაძის ფრაზა – „დოკუმენტი, რომელიც დღეს მივიღეთ, არის პირდაპირი საფუძველი სამომავლოდ არჩევნების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებისთვის“, არის ტყუილი, რადგანაც **„რეზოლუციაში, რომელიც ასამბლეამ მიიღო, ორგანიზაცია მმართველ პარტიას მოუწოდებს, 2020 წლის არჩევნებამდე უზრუნველყოს ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელიც ყველა მხარის ნდობითა და მხარდაჭერით ისარგებლებს“** და ამ დოკუმენტში არჩევნების ცნობა – არცნობის შესახებ სრულიად არაფერია ნათქვამი.

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ რეზოლუციის ამონარიდი, ცა და დედამიწასავით არის დაშორებული ბაქრაძის ვნებებს „არჩევნების კითხვის ნიშნის დაყენების შესახებ“.

სამაგიეროდ, 2020 წელს უკვე განვითარებული მოვლენები გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ რევანშისტები ყველანაირად შეეცდებიან ვითარების დაძაბვას.

მათი ბელადის გაუწონასწორებელი ხასიათიდან და მის მიერ წამოსროლილი ნებისმიერი „იდეის“ მიმართ მხარდამჭერების ფანატიკური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, საარჩევნო მარათონის ბოლოს სრულიად მოსალოდნელია ყველაზე საზიზღარი ფორმის პროვოკაციები.

ხელისუფლება და ნორმალური ოპოზიციური პარტიები უნდა შეეცადონ, ყოველგვარი ძალისხმევა გამოიყენონ საარჩევნო დროის ნორმალურად მიმდინარეობისთვის, რაც სულაც არ გულისხმობს იმათ „პოხონდრიებზე“ აყოლას.

ცხადია, ეს ბოლო არ არის და არც დასავლეთიდან მიღებული წერილებია ბოლო.

როგორც ერთ ფეისბუქ-პოსტში ეწერა: სიზმარში ნახო – ლომჯარია საზღვარგარეთ წავიდესო, მთავრობაში შეშფოთებულ წერილებს ელოდეო.

და როგორც ვიცით, ეს ჩვენი „სახალხო დამცველი“ უკვე რამდენიმე დღეა, საზღვარგარეთ იმყოფება (წულუკიანის მხრიდან მიჭირხვნის მეორე დღეს ოქრუაშვილისა და ახალაიას მხრიდან მიღებული „ინფორმაციებით“ დატვირთული მაშინვე პატრონებთან გავარდა) და რა სახის გამოხმაურება მოჰყვება მის „ვიზიტს“, მგონი, არავისთვის უცნობი არ არის.

ამ ორი დღის წინათ კი „მიHას ანგელოზებმა“ სალომე სამადაშვილმა, ელენე ხოშტარიამ, ანა ნაცვლიშვილმა და ანა რეხვიაშვილმა მომავალ კვირას ბრიუსელში გამგზავრება და საქართველოში პოლიტიკური ვითარების შესახებ მომზადებული წერილის ჩატანა დააანონსეს.

მათი თქმით, წერილს პირადად გადასცემენ ყველა გავლენიანი ინსტიტუტის ხელმძღვანელსა და საქართველოს თემაზე მომუშავე ექსპერტებს. წერილზე იქნება იმ პირების ხელმოწერა, რომლებიც საქართველოში პოლიტიკური ნიშნით იდევნებიან ან პატიმრობაში იმყოფებიან. ასევე წერილში ასახული იქნება ოპოზიციის მოთხოვნა პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

„ბრიუსელში მივდივართ, რადგან გვაქვს დაგეგმილი მნიშვნელოვანი შეხვედრები, როგორც ევროპარლამენტის წევრებთან ასევე, სხვა ევროპული ინსტიტუტების ხელმძღვანელ პირებთან. ჩვენი გზავნილები შეეხება, რა თქმა უნდა, საარჩევნო პროცესს და იმ ცვლილებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს პარლამენტის არჩევის წესში, რათა ქვეყანაში შენარჩუნდეს დემოკრატიული სისტემა. ასევე, მეორე მნიშვნელოვანი გზავნილი შეეხება პოლიტპატიმრებსა და პოლიტიკური ნიშნით დევნილებს. მიგვაქვს უშუალოდ წერილი, რომელსაც ხელს აწერენ როგორც პოლიტიკური ლიდერები, ასევე მასმედიის წარმომადგენლები და აქტივისტები, ყველა, ვინც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური დევნისა და პოლიტიკური შევიწროების მსხვერპლია. ძალიან მნიშვნელოვანია, ამ საკითხებთან დაკავშირებით ევროპიდან იყოს შესაბამისი გამოხმაურება. ქვეყანას, რომელსაც აქვს ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან, არ უნდა ჰყავდეს პოლიტიკური პატიმრები და პოლიტიკური ნიშნით დევნილები. ასევე, არ უნდა ჰქონდეს, ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელიც შეუძლებელს ხდის დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას“, – განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა სალომე სამადაშვილმა.

წერილის გამოქვეყნებას ოპოზიცია ბრიუსელში გამგზავრების შემდეგ გეგმავს.

მგონი, ყველაფერი ნათელია.

ეს ხალხი ყველაფერზე მიდის, არ ერიდება აშკარა ტყუილს და სიმართლესაც კი დამახინჯებულად წარმოაჩენს.

სამწუხაროდ, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის ბრძოლა ამ საინფორმაციო ომში დამარცხებისთვისაა განწირული. განწირული, რადგანაც ის იარაღი, ფეისბუქ-პოსტების, ორიოდ საინფორმაციო სააგენტოს, ორიოდ გაზეთსა და ტელე-იმედის ორიოდ გადაცემას ზუსტად იგივე ეფექტი აქვს, რაც თუნდაც ზუსტად ნასროლ ისარს, ტანკის გასროლის წინააღმდეგ.

არის კიდევ ერთი კარგი ინფორმაცია, მაგრამ მისი გაცნობის შემდეგ, რამდენიმე საკმაოდ კანონიერი შეკითხვა გაჩნდა: საქართველოს მთავრობამ ამერიკულ ლობისტურ კომპანია Chartwell Strategy Group-ს („ჩარტველი“) ხელშეკრულება გაუგრძელა. შესაბამის დოკუმენტს ხელი 2020 წლის 27 იანვარს მოეწერა.

ხელშეკრულების მიხედვით, ლობისტური კომპანია საქართველოს მთავრობას დაეხმარება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და აშშ-ის მთავრობასთან კავშირის კუთხით. კერძოდ, „ჩარტველი“ საქართველოს მთავრობას ხელს შეუწყობს კონგრესთან და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში, რათა მიიღოს პოლიტიკური მხარდაჭერა და გაზარდოს საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით აშშ-ის მხარდაჭერა. გარდა ამისა, ლობისტური ხელშეკრულება ითვალისწინებს პირდაპირი ამერიკული ინვესტიციების მოზიდვისა და ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების კუთხით მხარდაჭერას. გარდა ამისა, ლობისტური კომპანია საქართველოს მთავრობას უნდა დაეხმაროს როგორც ამერიკულ, ისე საერთაშორისო მედიასთან ურთიერთობაში.

რადიო თავისუფლების ინფორმაციით, Chartwell Strategy Group-ის დამფუძნებელია დონალდ ტრამპთან დაახლოებული დევიდ ტამასი, რომელიც მანამდე Trump Victory Fund-ის გენერალურ დირექტორად მუშაობდა.

2016 წლის წინასაარჩევნო პერიოდში არც ევროპაში და არც აშშ-ში არც ერთი უარყოფითი სტატია არ გამოქვეყნებულა. პირიქით, ევროპის ტოპ-გამოცემებში ათეულობით მისაღები სტატია დაიბეჭდა, ხოლო აშშ-ში – 12 კონგრესმენის მხარდამჭერი განცხადება და 28 მისაღები სტატია, რასაც კონგრესის მხრიდან ორპარტიული მხარდამჭერი კანონი მოჰყვა.

ბუნებრივია, ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამ და პატარა გოგოშკების, პარტიაში, ტელევიზიებსა თუ სახელმწიფო სტრუქტურებში ჩაბუდებული ფარული ნაცების იმედზე არ უნდა იყოს.

ახლავე გეტყვით, რომ ნაცები ერთ-ერთ დარტყმას ევროპის საბჭოს მინისტერიალზე ლავროვის სავარაუდო ჩამოსვლაზეც განახორციელებენ. ამ მიმართულებით „მუშაობა“ მათ უკვე დაიწყეს და ტემპერატურას ნელ-ნელა მოუმატებენ.

ყოველგვარი პოეტურ-ფილოსოფიურ-პოლიტოლოგიური შესავლის გარეშე იმ ხალხის გასაგონად, ვინც ლავროვის თბილისში სავარაუდო (ვიმეორებ – სავარაუდო) ჩამოსვლასთან დაკავშირებით ლოზუნგობს, ვიტყვი, რომ ფიდელ კასტრო (რომლის წინააღმდეგაც აშშ-მა უამრავი ტერაქტი განახორციელა), ირანის პრეზიდენტები, მუჰამად აბდირ-რაუფ არაფატ ალ-ყუდვა ალ-ჰუსაინი საყოველთაოდ ცნობილი როგორც იასირ არაფატი და კიდევ უამრავი არასასურველი ლიდერი საერთაშორისო ფორუმების ფორმატში ნიუ იორკში ჩადიოდნენ და სიტყვითაც გამოდიოდნენ.

(ცნობისთვის ფიდელ კასტროს სიტყვით გამოსვლა გაეროში 55 წლის წინათ, 1960 წლის 26 სექტემბერს 4 საათი და 29 წუთი გრძელდებოდა და ეს მძვინვარე ანტიამერიკული გამოსვლა გინესის რეკორდების წიგნში შევიდა).

ლავროვი თბილისში ევროპის საბჭოს მინისტერიალზე ჩამოდის და არა „ხაჩაფურის“ და „ხვანჩქარას“ დასაგემოვნებლად.

მისი მასპინძელი ევროპის საბჭოა და არა საქართველო.

რაც შეეხება ნორმალურ რეაქციას, რაც უნდა გააკეთოს საქართველომ, ამაზე პასუხი პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძემ გასცა: „თუ ის ჩამოვა საქართველოში, შემიძლია გითხრათ, რა დახვდება მას საქართველოში – დახვდება პროტესტი იმის გამო, რომ ჩვენი ტერიტორიები არის ოკუპირებული, საქართველოში დახვდება ხელისუფლების ძალიან პრინციპული პოზიციები, რომ შეასრულოს რუსეთმა აღებული ვალდებულებები.**

ლავროვს საქართველოში დახვდება კონკრეტული დასკვნები და შეფასებები იმ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც ჩვენი მოქალაქეების უფლებები უხეშად ირღვეოდა, იყო მკვლელობები, გატაცებები და უკანონო პატიმრობები“ – თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ.

აი, ეს ქმედება სწორია, ხოლო ის, რას იწიწკვინებენ დეკანოიძე და გუგავა, არავის აგულისყურებს.

* * *

რობერ მერლის ნაწარმოებში **„სიკვდილი ჩემი ხელობაა“** აღწერილია ოსვენციმის მთავარი სამხედრო კომენდანტის რუდოლფ ჰიოსსეს (წიგნში – რუდოლფ ლანგე) ცხოვრება, რომელიც პირველ პირში ყვება ბანაკის შესახებ.

არის ერთი საგულისხმო ნაწყვეტი, რომელსაც ყურადღება მივაქციე:

სასამართლოზე პროკურორმა ჩემკენ ხელი გამოიშვრა და თქვა – აი, ამან 3.5 მილიონი ადამიანი მოსპო.

მე სიტყვა ვითხოვე და ვთქვი – მაპატიეთ, მე მხოლოდ 2.5 მილიონი ადამიანი მოვსპე. დარბაზი ახმაურდა. პროკურორმა მიყვირა, რომ უნდა მრცხვენოდეს ჩემი ციინიზმისა.

ვერ გავიგე, რა უნდოდა, მე ხომ უბრალოდ ციფრები დავაზუსტე (ტექსტის ზუსტ ციტირებაზე თავს ვერ დავდებ. ძალიან დიდი ხნის წინ მაქვს წაკითხული).

ამ ნაპოლიტიკანებს, „არასამთავრობო ტიპებს“, ლიბერალიზმისა და დასავლური ცივილიზაციის მახინჯი ფორმებით წარმომჩენ არსებებს რომ ვუყურებ, სულ შტანდარტენ ფიურერი რუდოლფ ლანგე მახსენდება.

მახსენდება, რადგანაც მათი სწორხაზოვანი, მახინჯი მენტალიტეტი, აზროვნება, ცხოვრებისეული ხედვა და საუბრის მანერა, ერთი-ერთში ემთხვევა მის აზროვნებას.

მისთვის არ არსებობს მორალური მხარე, არ არსებობენ დახოცილი ბავშვები, არ არსებობს არაფერი წმინდა.

მისთვის მხოლოდ და მხოლოდ ციფრების დაზუსტებაა მთავარი.

გია გაბრიჭიძე

ᲕᲐᲠᲓᲣᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲐᲕ ᲡᲔᲠᲒᲘ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔᲡ ᲐᲕᲘ ᲬᲘᲜᲐᲗᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ...

ᲪᲔᲛᲐ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲪᲔᲛᲐ-ᲢᲧᲔᲞᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐ.

ᲡᲪᲔᲛᲔᲜ, ᲚᲐᲮᲐᲕᲔᲜ, ᲒᲕᲔᲛᲔᲜ, ᲣᲚᲐᲬᲣᲜᲔᲑᲔᲜ, ᲣᲢᲧᲐᲞᲣᲜᲔᲑᲔᲜ, ᲣᲑᲐᲗᲥᲣᲜᲔᲑᲔᲜ, ᲪᲮᲕᲘᲠ-ᲞᲘᲠᲘᲡ ᲣᲜᲐᲧᲐᲕᲔᲜ, ᲛᲣᲨᲢᲔᲑᲡ ᲣᲮᲐᲗᲥᲣᲜᲔᲑᲔᲜ, �თᲔᲗᲥᲕᲐᲕᲔᲜ...

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲜᲓᲐ, ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲖᲔ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐ-ᲫᲐᲚᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ!

ᲐᲙᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ: „ᲕᲘᲜᲪ ᲫᲐᲚᲐᲝᲑᲓᲐ, ᲤᲥᲕᲐᲕᲓᲐᲝ“.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲔᲪ ᲮᲝᲛ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗ ᲛᲣᲠᲗᲐᲚᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲐᲡ ᲙᲐᲪᲖᲔ ᲘᲫᲐᲚᲐᲝᲡ — ᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲖᲔ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲡᲕᲠᲘᲡᲣᲛ ᲓᲐ ᲘᲛ ᲐᲡᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲡ ᲛᲧᲠᲐᲚᲘ ᲔᲜᲘᲗ...

ᲡᲪᲔᲛᲔᲜ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝ.

ᲡᲪᲔᲛᲔᲜ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲣᲗᲐᲕᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ.

უნდა გაილახოს თუ არა სრულწლოვანი ადამიანი?

რა თქმა უნდა, არა. ასეთი მოქცევა შეუთავსებელია ნორმალური საზოგადოებისთვის.

მაგრამ გამონაკლისები ხდება — ადამიანები ილახებიან. ასე იყო გუშინ, ასეა დღეს და, ალბათ, ასე იქნება ხვალაც. მით უფრო, გახურებულ პოლიტიკურ ატმოსფეროში, როცა მოწინააღმდეგეები ერთმანეთზე არა უბრალოდ მუშტებით მიიწევენ, არამედ კბილებსა და ფრჩხილებსაც მოიმარჯვებენ ხოლმე, როგორც პრიმატები და ენას — როგორც ქვეწარმავლები.

სცემენ ერთჯერადად და მრავალჯერადად, ანუ ხშირად.

ცემა არის მსუბუქი და გამეტებული.

ამ რამდენიმე წლის წინათ დეპუტატები ვალერი გელაშვილი და კობა დავითაშვილი გამეტებულად, „პროფესიულად“, სასიკვდილოდ სცემეს. სასწაულით დაუძვრნენ მიქელ-გაბრიელს. თვეობით მკურნალობდნენ. ბოლომდე დღესაც არ მოშუშებიათ იარები.

სიმართლეს თუ ვიტყვით, ეს ცემა არ იყო, ტერორისტული აქტები იყო.

აი, მსუბუქად ცემა სულ სხვაა.

მაგალითად, ჩვენს მახსოვრობაში მსუბუქად სცემეს ასევე დეპუტატი ნუგზარ (ბოცო) წიკლაური, სცემეს ერთხელ, მეორედ, მგონი, მესამედაც. ოღონდ, ისევ და ისევ მსუბუქად, ასე ვთქვათ, მოყვარულად. დაუვიწყარი იყო ამ პიტალო კაცის მწიფე ქლიავისფრად აღუებული თვალი და ყელში მოწოლილი ცრემლის გუდა: „მცემეს, ძია“...

ჩემს პატარა ბიჭობაში ჩხუბში გალახულად ის ითვლებოდა, ვისაც სისხლი წამოუვიდოდა, იმასაც მოვესწარით, რომ ჩვენი მშვენიერი სახისა და არჯალი ენის მქონე დეპუტატი, ქალბატონი ჩიორა თაქთაქიშვილი ცხვირპირგახეთქილი ვიხილეთ საქვეყნოდ. თანაც, ქალისთვის უჩვეულო და უკადრებელი ეს გვემა მან და მისმა პოლიტიკურმა მეგობრებმა რატომღაც დიდ გმირობად ჩათვალეს და მთელი სამი დღე ასე წითლად შეღებილი ატარეს აქეთ-იქით, ბოლოს ლოგინში შეაწვინეს და ისე ასტუმრეს უცხოელი სტუმრები. ვითარება სწორედ რომ კომიკური იყო. მონგრეული მშვენიერი სახე აღვირახსნილი, ძაღლყურძენა ენის წილ!

ცემა ორგვარია — ფიზიკური და მორალური.

ფიზიკურად ჯერჯერობით არა, მაგრამ მორალურად ხშირად გალახულა ნაციონალი ზურაბ ჭიაბერაშვილი. თავისი უტვინო ოპუსების გამო. რაც მას გინება მიუღია, როგორ არის ცოცხალი! მან რომ „ქართვლის დედას“ სიბილწე აკადრა და ხალხმა ის სიბილწე მის ოჯახსა და კეთილებს დაუბრუნა, ცემა რატომ ასჯერ არ ჯობდა! მაგრამ ამ თავფქვილა კაცს რამეს შეასმენ?

„ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი“, — გვმოძღვრავდა დიდი დავით გურამიშვილი ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში. კი, რა თქმა უნდა, სწორს ბრძანებდა, მაგრამ ახლა რომ მოვდგეთ და ჩვენი უზრდელი, გაუნათლებელი (უფრო სწორად ცალმხრივად განათლებული), შეუსმენელი და დემოკრატიული თავისუფლებებით გატუტუცებული გოგო-ბიჭების მასწავლებლები ვგვემოთ, ლამის მთელი ერი გაგვიმათრახებია და ეს არის. არადა, გასამათრახებელი ნამდვილად კია!

ამ ბოლო დღეებში მოგვიმრავლდა სახალხო დასჯის სცენები. უკვე მესამედ დააქოთაქეს თბილისის საკრებულოს წევრი ლევან ხაბეიშვილი, კაცი ცნობილი თავისი ულაგმო ენითა და დაუოკებელი ბოროტი ფანტაზიებით. სამწუხაროა, რომ ასეთი კაცები მრავალჯერადად გაილახებიან ხოლმე და აჰა, უკვე მესამედ! ოღონდ, ერთი კი აქვს დასაფასებელი ამ კაცს: რაც უნდა გვემონ, მაინც იმ აზრზე დგას, რისთვისაც სცემეს. ქვევრივით იმას ამოგძახებს, რასაც ჩასძახებ. ანუ, ის ლიდერი არ არის, ლიდერთა სახმარი ნივთია, ჩაციკლეს, დაქოქეს და ქუჩაში მიუშვეს. ჰოდა, ივლის და იძახებს ასე, არც თვითონ დაიღლება და არც სხვას მოასვენებს, სანამ ბოლო ჭანჭიკამდე არ გაცვდება.

გაილახა ყოფილი „რუსთავი-2“-ის, ამჟამად ტელეკომპანია „მთავარის“ მთავარი ნიკა გვარამიაც.

აქ უფრო რთულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ნიკა გვარამიაც ზომბია, როგორც ლევან ხაბეიშვილი, ოღონდ უფრო მაღალი ხარისხის. მას ლიდერობის, ვითარების მართვის პრეტენზია აქვს, რა თქმა უნდა, დაუსაბუთებლად, მაგრამ მაინც. თუ ლევან ხაბეიშვილმა გულის გულში მშვენივრად იცის, რომ სამართლიანად სცემენ, რადგან მხოლოდ იარაღია სხვათა ხელში, პოლიტიკური თამაშის რიგითი მონაწილეა განსაზღვრული ამპლუით, ნიკა გვარამია სულით ხორცამდე აღშფოთებულია ცემით, რადგან მტკიცედ

სჯერა, რომ ამას არ იმსახურებს, რამეთუ იგი ჰეგემონია, მებრძოლია და ბრძოლის ლოგიკა იმის უფლებას აძლევს, რომ აირჩიოს ნებისმიერი იარაღი და მეთოდი. მანაც აირჩია უკიდურესი რეაქციონერის, ენაბილწი, ყოვლად უსამართლო პროვოკატორის როლი.

ბილწები, პროვოკატორები და უსამართლონი კი ხალხს არ უყვარს, რა პოლიტიკური რენომეც არ უნდა ჰქონდეთ. ჰოდა, აიღეს და მიჯირყვნეს!..

საერთოდ, გონიერმა კაცმა თავი საცემად არ უნდა გაიხადოს, მაგრამ ხდება! საქმე ის არის, რომ არც მცემელი არ არის თავით მოფიქრალი, მუშტებით მოაზროვნეა. მუშტებით მოაზროვნისგან კი რას უნდა ელოდე. არ მოეწონება შენი ნათქვამი (ან რა არის მოსაწონი ნიკა გვარამიას მზაკვრულ ფილოსოფიაში), აიღებს და გგლიჯავს. ისევე, როგორც თვით ნიკა გლიჯავს ხოლმე მსმენელს ყოვლად უგვან მოსაზრებებს, თანაც ყოვლად უგვანი ფორმით, უწმაწურად.

ჰოდა, ბარი-ბარში!

ᲪᲔᲛᲐ-ᲢᲧᲔᲞᲘᲡ ᲘᲓᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲚᲔ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲐᲥᲢᲘᲣᲠᲓᲔᲑᲐ, ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲕᲐᲠᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲘᲫᲐᲑᲔᲑᲐ, ᲘᲑᲣᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ, ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲠᲐ ᲦᲚᲐᲕᲡ ᲓᲐᲕᲘᲭᲔᲠᲗ. ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲐᲤᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲧᲐᲚᲧᲖᲔ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲬᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲛᲐᲚᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲖᲝᲒᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲮᲕᲐᲡ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲔᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲣᲚᲔᲠᲗᲘᲐ, ᲕᲘᲜ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ — ᲥᲝᲪᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲜᲐᲪᲔᲑᲘ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲧᲝᲤᲜᲐ-ᲐᲠᲧᲝᲤᲜᲐᲐ!

ᲓᲐ ᲔᲡ ᲑᲐᲖᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ-ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲓᲐᲜ ᲥᲘᲠᲐᲝᲑᲡ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲣᲓᲦᲔᲣᲠᲑᲚᲐᲜᲬᲔᲐᲜᲛᲐ ᲡᲔᲠᲒᲘ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔᲛ ᲘᲡᲘᲪ ᲙᲘ �გᲐ�გᲕᲘᲛᲮᲘᲚᲐ, ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲚᲛᲘᲓᲐᲜ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲝᲘᲛᲐᲢᲔᲑᲡᲝ. ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲑᲘᲭᲡ!

ᲛᲔ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲔᲨᲘᲜᲘᲐ, ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲩᲐᲚᲘᲩᲘᲡ, ᲕᲐᲘᲜᲐᲩᲠᲝᲑᲘᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ რაც დარჩათ გასაკეთებელი! მეტი რაღა ქნან, ბოკერია და ბურჯანაძე ერთად, გვერდიგვერდ სხედან ნათელაშვილისეულ „კოზმანაშვილის დარბაზში“ და ხელისუფლების ყელის გამოჭრას გეგმავენ, როგორც იმ დარბაზში პაატა ბატონიშვილი და ძმანი მისნი აბამდნენ ქსელს პატარა კახის წინააღმდეგ, თუ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, მაშინ, ნახეთ კამიკაძეების სანგრებიდან უნიღბოდ ამოცვენა და უკანასკნელი თავგანწირული კვეთება უბადრუკი კოჰაბიტაციის ყუმბარებით გადათხრილ ველზე!.. თუ ვინმე გადავრჩით, ხომ ზღაპარივით მოვუყვებით შვილიშვილებს, აბა, ცემა მაშინ იყო, თუ იყო!..

ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲙᲘ, ᲠᲐᲦᲐᲪ ᲝᲠᲘ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ

ᲓᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲓᲠᲝᲓᲐᲓᲠᲝ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲒᲕᲘᲬᲕᲐᲕᲡ ᲧᲣᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ — ᲐᲛᲐᲡ ᲪᲮᲕᲘᲠ-ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲣᲜᲐᲧᲔᲡ, ᲘᲛᲐᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲣᲑᲣᲨᲢᲔᲡᲝ... ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ, ᲗᲣ ᲕᲐᲠᲓᲣᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲐᲕ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲔᲑᲗ!..

ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲐᲪᲛᲐ 50 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲝᲘᲞᲐᲠᲐ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲓᲔᲕᲜᲐᲖᲔ ᲕᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მერის კახა კალაძის განცხადებით, „ქართული ოცნების“ მთავრობას „არასდროს არავინ დაუჩაგრავს“. ასე უპასუხა თბილისის მერმა მედიის წარმომადგენლების შეკითხვას, იდევნებიან თუ არა პოლიტიკურად ოპოზიციის ლიდერები, მათ შორის გიგი უგულავა.

„რა პოლიტიკურ დევნაზეა საუბარი. კაცმა 50 მილიონი მოიპარა და ამაზე ხელი მოაწერა, რომ მოვიპარეო და რა პოლიტიკურ დევნაზე ვსაუბრობთ?“, — განაცხადა კახა კალაძემ. „დღეს ვცხოვრობთ ისეთ სახელმწიფოში, სადაც ადამიანებმა საზოგადოებას სიმართლე და რეალობა რომ დაანახონ, ძალიან მარტივია. შესაბამისად ვერავინ დაიჩაგრება, ჩვენ არასოდეს არავინ დაგვიჩაგრავს“, — განაცხადა თბილისის მერმა.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური სპექტრის ნაწილის მხრიდან ბოლო პერიოდში გამოგზავნილ წერილებში საუბარია იმის თაობაზეც, რომ საქართველოში ოპოზიციის ლიდერების პოლიტიკური დევნა ხორციელდება.

ნაღმებთან ახლოს

ბაზრობების და ბენზინგასამართი სადგურების ქალაქი

29 დეკემბერს, დილის 04:24 საათზე ნათია ახალაშვილმა 112-ში დარეკა. მისი ფანჯრიდან კარგად მოჩანდა, როგორ ამოდიოდა შავი კვამლი ქავთარაძის ბაზრობის შუაგულიდან. იმ ღამით ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს, თუმცა ორი კვირის შემდეგ, 14 იანვარს, ხანძარი ისევ გაჩნდა და მაღაზია დაიწვა. დამწვარი მაღაზიიდან ავტოგასამართ სადგურებამდე 20-30 ნაბიჯი იქნება.

„გუშინ ღამით გადავრჩით... (ეს) ქვეყანა – გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკაა“, – დაწერა მაშინ ნათიამ ფეისბუქზე და საკუთარი აივნიდან გადაღებული ფოტოც გამოაქვეყნა.

ნათიას კორპუსი პირდაპირ გადაჰყურებს ე.წ. ქავთარაძის ბაზრობას, სადაც საღებავები, ქიმიური ნივთიერებები, საყოფაცხოვრებო ნივთები და სხვა ადვილად აალებადი ათასი წვრილმანი იყიდება.

ეს ბაზრობა ესაზღვრება ორ ბენზინგასამართ და ერთ გაზგასამართ სადგურს. იქვე, დაახლოებით ათ ნაბიჯში, უზარმაზარი საცხოვრებელი კომპლექსი დგას. 16 წლის წინათ, როცა ნათიამ "შანხაის დასახლებაში" სახლი იყიდა, მას და მის მეუღლეს იმედი ჰქონდათ, რომ ბაზრობას მალევე გადაიტანდნენ. 16 წლის შემდეგ არაფერი შეცვლილა. მეტიც, სამი-ოთხი წლის წინათ იქ კიდევ ერთი გაზგასამართი სადგური ამოიზარდა.

„ჩვენი ყველა დღე შიშით თენდება. მე, ჩემს მეგობრებს, მეზობლებს, ყველას გვგონია, რომ ეს ბაზრობა თავისი ავტოგასამართი სადგურებით და ზედ დადგმული უზარმაზარი კორპუსებით დიდი ბომბია. შეიძლება ჩვენი შიში გადაჭარბებულია, მაგრამ როგორ უნდა ვიყოთ მშვიდად ამ სურათის შემყურე?!“ – ამბობს ნათია ახალაშვილი, რომელიც ყველაფერთან ერთად იმაზეც დარდობს, თუ რა ზიანი ადგება მის შვილებს, როცა დროდადრო ბაზრობაზე ტოქსიკური ნივთიერებები იწვის. ორშვილიან ოჯახს აქვს განცდა, რომ ქალაქთან ბრძოლაში დამარცხდა და ქალაქგარეთ გადასახლებას ცდილობს.

ქავთარაძის ბაზრობა მხოლოდ ერთი მაგალითია. იგივე ხდება, ელიავას ბაზრობის გარშემოც: კორპუსები, ბენზინ და გაზგასამართი სადგურები, თხევადი გაზის სატუმბი სადგურები. ასევე გლდანშიც – ისევ კორპუსები, ისევ ბენზინ და გაზგასამართი სადგურები. ასეთი ნაღმები თბილისში კიდევ ბევრ ადგილას არის დაფლული.

ბევრი კითხვა არსებობს:

ვინ და რამდენად პატიოსნად ამოწმებს ავტოგასამართ სადგურებს?

რა სჭირდება ბენზინგასამართი სადგურის აშენებას?

ისევ შენდება ახალი სადგურები?

დაცულია კანონით დადგენილი პროცედურები?

რამდენი ავტოგასამართი სჭირდება თბილისს? და ა.შ.

ამ კითხვებიდან მხოლოდ ნაწილზე გვაქვს მკაფიო პასუხი.

„რადიო თავისუფლება“ დაინტერესდა, ერთი შეხედვით, ისეთი მარტივი მონაცემით, როგორიც არის თბილისში ბენზინ და გაზგასამართი სადგურების საერთო რაოდენობა.

შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მიხედვით თბილისში აღრიცხულია:

272 ბენზინგასამართი და 152 გაზგასამართი სადგური, მაგრამ შემოსავლების სამსახურში გვითხრეს, რომ, ეს არ არის სრული სია და გვირჩიეს, ზუსტი მონაცემები საჯარო რეესტრიდან მიგვეღო. საჯარო რეესტრიდან ჩვენს წერილზე პასუხს ისევ ველით.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ერთ-ერთია იმ უწყებებიდან, რომლის დასკვნაც საჭიროა იმისთვის, რომ მერიის არქიტექტურის სამსახურმა ბენზინგასამართი და გაზგასამართი სადგურის აშენების ნებართვა გასცეს.

„ყველა ობიექტს სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე სჭირდება ინდივიდუალური მიდგომა. ყველა დეტალი გაწერილია საქართველოს მთავრობის 50 და 52 დადგენილებებში“ – ისე გვიპასუხა უწყებამ, რომ მაინც არ დააზუსტა, კონკრეტულად რა მანძილით უნდა იყოს ერთმანეთისგან დაშორებული ბენზინგასამართი სადგურები.

„რადიო თავისუფლებას“ ასევე აინტერესებდა, ხედავს თუ არა სახელმწიფო საფრთხეს კონკრეტულად ე.წ. ქავთარაძის ან ელიავას ბაზრობებთან ახლოს, ბენზინ და გაზგასამართი სადგურების არსებობაში.

აქაც მოგვწერეს, რომ ერთმნიშვნელოვნად პასუხის გაცემა ამ კითხვაზე რთულია – გააჩნია შენობას და მის ფუნქციურ დანიშნულებასო. ასევე იმას, რეზერვუარები მიწის ზემოთ არის თუ მიწაშიო.

„ზოგადად ბაზრობები... განიხილება როგორც მასობრივი თავშეყრის ადგილები, შესაბამისად არსებული მანძილი ასეთი ტიპის ობიექტებამდე ორმაგდება“, – მოგვწერეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან.

რადგან სულ ბოლო ხანძარი ქავთარაძის ბაზრობაზე გაჩნდა, „რადიო თავისუფლება“ სწორედ მის მიმდებარედ არსებული ბენზინ და გაზგასამართი სადგურების ნებართვებით დაინტერესდა – როდის, ვის მიერ და რა ვითარებაში აშენდა იქ ერთმანეთის მიყოლებით „ვისოლის“, „რომპეტროლის“ ბენზინ და „ნეოგაზის“ გაზგასამართი სადგურები.

ამ ავტოგასამართი სადგურების ნებართვები **„იმდენად ძველია, რომ არქიტექტურის ელ. ბაზაში არ იძებნება და არქივშია მოსაძებნი“** – გვიპასუხეს მერიაში.

თუმცა „ნეოგაზი“, როგორც იქვე მცხოვრები ნათია ახალაშვილი ამბობს, სულ რამდენიმე წელია, აშენდა.

რა პროცედურაა საჭირო ავტოგასამართი სადგურის ასაშენებლად?

თბილისში მსგავსი ობიექტების მშენებლობის ნებართვას დედაქალაქის არქიტექტურის სამსახური გასცემს. თუმცა სანამ ნებართვა გაიცემა, მანამდე უნდა მომზადდეს პროექტი, რომელშიც დეტალურად უნდა ჩანდეს, როგორ იქნება დაცული უსაფრთხოების ზომები, როგორი შენობა აიგება, როგორი იქნება წყალმომარაგება და კანალიზაცია, ჩამიწების წესები და ყველა სხვა დეტალი, რაც სადგურის გამართვისთვის არის აუცილებელი.

კიდევ არსებობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ, რომელშიც ცალკე, 78-პუნქტიანი ქვეთავი ეძღვნება ავტოგასამართი კომპლექსების სახანძრო უსაფრთხოებას. და ესეც არ არის ყველაფერი.

აი, კიდევ რა ინსტანციების თანხმობაა საჭირო:

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აფასებს ჰაერის დაბინძურების საფრთხეებს;

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი – შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობის უსაფრთხოებას;

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური – შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობის სისწორეს;

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სწავლობს საპროექტო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული და დაცულია თუ არა უსაფრთხოების სტანდარტები.

ეს ჩამონათვალი აქ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ უფრო ნათელი გახდეს, თუ რამდენი სტანდარტის დაცვა და საფეხურის გავლაა საჭირო თბილისში ერთი ავტოგასამართი სადგურის ასაშენებლად.

მაგრამ ამდენი რეგულაციის არსებობა ხდის თუ არა მათ დაცვას შესაძლებელს? აკონტროლებს კი შესაბამისი უწყება ყველა დეტალს? ერთ-ერთი ყველაზე ფართო ქსელის მფლობელი კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-დან წერილობით გვიპასუხეს, რომ მათ ავტოგასამართ სადგურებს პერიოდულად ამოწმებს (1) შინაგან საქმეთა, (2)ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, (3) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, (4) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დეპატრამენტები, ასევე ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის საგენტოს ერთ-ერთი სამმართველო.

„ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს ინფორმაციით, მათ ავტოგასამართ სადგურებზე არასდროს მომხდარა ხანძარი ან აფეთქება.

მეორე კვირაა, რაც „რადიო თავისუფლება“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან ელის ინფორმაციას ბოლო 2 წლის განმავლობაში თბილისში ბენზინ და გაზ გასამართ სადგურებზე მომხდარი ხანძრების ან აალების შემთხვევების რაოდენობის შესახებ.

* * *

ავტოგასამართი სადგურებისა და კომპლექსების უსაფრთხოების წესები ადგენს მინიმალურ მანძილებს ავტოგასამართ კომპლექსსა და სხვა ობიექტებს შორის.

აი, მაგალითად, მოედნიდან, ხიდიდან, სკვერიდან, პარკიდან და ბაღიდან დაშორება უნდა იყოს 25/50 მეტრი;

ტყიდან და ტყეპარკიდან – 25/40 მეტრი;

დასახლებული პუნქტების საავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან 3/15 მეტრი;

ავტომაგისტრალიდან (სავალი ნაწილის კიდემდე) – 12/15 მეტრი;

ადვილადაალებადი მასალების და წვადი ნივთიერებების შესანახი საწყობებიდან დაშორება უნდა იყოს 25/30 მეტრი;

თავად ავტოგასამართ სადგურამდე – 40/80 მეტრი.

უცხოეთში ბენზინგასამართი სადგურები ხშირად საცხოვრებელი სახლების პირველ სართულებზეა გამართული – ერთი პირობით – დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ზომები – ამბობს არქიტექტორი ირაკლი ჟვანია. მისი აზრით, თბილისში პრობლემა ის არის, რომ ეს სადგურები ერთმანეთის მიჯრითაა აშენებული.

„დათვლილია თუ არა რომელ უბანს რა რაოდენობის ბენზინგასამართი სჭირდება? აქცევენ ამას ყურადღებას? რაც ერთი შეხედვით ჩანს, ის არის, რომ აქ სადგურები კონკურენციის პრინციპით არის ჩალაგებული“, – ამბობს ირაკლი ჟვანია, რომელსაც კითხვები მეტი აქვს, ვიდრე პასუხები.

არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე, დავით აბულაძე მიიჩნევს, რომ ბენზინგასამართი სადგურები არ უნდა არსებობდეს ისეთ კვანძებში, როგორიც არის მაგალითად, გმირთა მოედანი.

„იგივე ქავთარაძის თუ ელიავას ბაზრობები არის მაღალი თავშეყრის ადგილები, სადაც ბევრი ხალხი, ბევრი მანქანა, ბევრი აალებადი პროდუქციაა ერთად თავმოყრილი. ესეც უნდა იყოს გათვალისწინებული მაგრამ, ფაქტია, რომ არ არის“.

* * *

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ლაშა სიხარულიძე ამბობს, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში, თბილისში ერთმანეთის გვერდით, ქაოსურად და ნორმების დაცვის გარეშე შენდებოდა და შენდება:

უზარმაზარი საცხოვრებელი კომპლექსები, მათ გარშემო ბენზინ და გაზგასამართი სადგურები, და სპონტანურად გაჩენილი ბაზრობები.

„აი, ეს ტერიტორიაც, სადაც ახლა ვდგავართ, ე.წ. ქავთარაძის ბაზრობა არის ამის კლასიკური მაგალითი, – გვეუბნება ლაშა სიხარულიძე, – ერთმანეთისგან 5-10 მეტრით დაშორებული რამდენიმე ავტოგასამართი სადგური, მათ უკან კი ბაზრობა, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე იწვება. და ამ ამბავში, თუნდაც კანონით დადგენილი მანძილის დაცვის იმედად ყოფნაც არ შეიძლება“, – შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი გულისხმობს იმას, რომ თუ ბენზინ და გაზგასამართი სადგურები, ქავთარაძის ქუჩის მსგავსად, ასე ახლოსაა ხანძრის გაჩენის საშიშ ადგილებთან, იქ ნაპერწკალიც საკმარისია იმისათვის, რომ მასშტაბური ხანძარი გაჩნდეს.

მერიაშიც ამბობენ, რომ №41 დადგენილებამ გაამკაცრა ქალაქის ცენტრალურ ადგილებში ავტოგასამართი სადგურების მშენებლობის ნებართვების გაცემა, თუმცა ეს ცვლილებები მხოლოდ მომავალში საფრთხის თავიდან აცილებას თუ შეუწყობს ხელს.

„ერთი, რაც შეიძლება დღეს გაკეთდეს უსაფრთხოების მხრივ, ეს ასეთი ობიექტების მუდმივი მკაცრი კონტროლია სახელმწიფოს მიერ“, – უთხრა ლაშა სიხარულიძემ „რადიო თავისუფლებას“. მისი აზრით, მთავარი პრობლემა აქ ის არის, რომ სახელმწიფო ვერ გახდა სისტემური. ინსპექტირების მექანიზმები კი ძალიან სუსტია – სიმბოლურ ჯარიმას კომპანიები ადვილად იხდიან.

* * *

„თუ ტელევიზორში მოვისმენ, რომ სადმე გაზმა გაჟონა ან სადმე რამე აფეთქდა, იმ ღამით არ მძინავს “, – გვეუბნება ელიავას ბაზრობის მიმდებარედ მდგარ კორპუსში მცხოვრები მეგი კავთუაშვილიც.

მისი ფანჯრიდანაც ხედი ძალიან ჰგავს ნათიას ხედს - სამი ბენზინგასამართით და ორი გაზგასამართი სადგურით გარშემორტყმული კორპუსი, წინ ელიავას ბაზრობა.

„ჩვენი ეზო ჩერნობილს ჰგავს, კადრებს გაშავთეთრებაც არ სჭირდება. ბავშვები ეზოში, ბეტონის ნანგრევებში თამაშობენ, ფანჯარას რომ ვაღებთ, ისეთი მტვერი შემოდის, რომ სახლის დალაგება გამორიცხულია. და გარშემო გვაკრავს ეს ავტოგასამართი სადგურები. მინდა ეს სახლი გავყიდო, მაგრამ არც იყიდება. თუმცა ვიცი, ეს არ არის გამოსავალი, მხოლოდ ჩემი საცხოვრებელი არ დგას ნაღმზე. ამიტომ სულ გაქცევაზე ვფიქრობ“.

ეკა ძევანიშვილი

„ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ“,

– ასე ამბობდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი



ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

გიიომე და ანტუანი ჰიდრო-პლანის კაბინაში. 1939 წ.

სიყვარული

უტყუარი სასწაულები უხმაურობა... და ყოვლის უფრო მნიშვნელოვანი ამბები ძალზე უბრალონია.

* * *

ყოველივე, რასაც ქალისგან მოელი, ჩემი შინაგანი განგაშის დამშვიდებაა. აი, ამად მჭირდება ქალი. ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელი რამ არის ცალად ყოფნა, ოდეს შენს სიახალგაზრდავეს არცრის მაქნისად არ მიიჩნევ.

* * *

ვინ იცის, ეგების ამ მიუწვდომელ თხემზე, სადაც სრულ მარტოობაში ვარ, ყოვლის უფრო ტკბილი რამ არის სინაზე იმათ მიმართ, ვინც მიყვარს და კიდევ უფრო მეტიც – სუყოველი ადამიანის მიმართ და აგრეა მუდამ. როცა სიცოცხლის გასაწირადაც მზად ხარ და სუყველას მაგივრად გრძნობ პასუხისმგებლობას და ყვირილი გინდა: „ნეტამც სამყარო გადმოსულა თქვენთა გულებსა შიგან“.

* * *

მეუბნებიან: „ის დამხრჩვალი ქალი ბევრად ღრმად ჩაიძირა, ვიდრე შენ ჰგონებ...“ მე მაინც მივრბივარ, და ეს სულაც არ არის სიგიჟე. მხოლოდ მარტო მე ვიცი, ვინც ამომყავს სამზეოზე. უცნაურია, რომ დრო დაჭირდა ამის გასაგებად, მაგრამ ნამდვილად არ ვგრძნობ ჩემში იმ მოწოდებას, რომ ან ბედნიერება ვაპოვნინო ვისმე, ანდა რასმე გამოველოდე ვინმესგან. უკეთუ ვისიმე ბედნიერების წყაროდ უნდა ვიქცე – შიში მიპყრობს, ვაითუ, მგზავრს არასწორად ვუჩვენე-მეთქი გზა. რაც შემეხება მე, თუ რა უნდა მივიღო, ბევრი არცრა არ მჭირდება. სავსებით შესაძლებელია იმის გაფიქრება, რომ სასტიკი ვინმე ვარ: არცვის ნაღვლიანს ნუგეშინს არა ვცემ და არცრა სურვილს არ ვასრულებ ვისიმე. რა ვქნა, ვიყვე ხორციელად სასტიკი, გინდ გულითაც, ოღონდ არა სულით. ამიტომ სინამდვილეში არც როდის სასტიკი არა ვყოფილვარ. მე უფრო იმათ ვეკუთვნი, ვისაც გზასავით მირჩევენ. ჩემთვის სავსებით სულერთია, სიადან მოდიან ისინი.

* * *

უპასუხო სიყვარული უიმედოს არ ნიშნავს. ეს იმას ნიშნავს, რომ სუყოველ არსებას შეუერთდები მხოლოდ უსასრულობაში. გზაში ჩაუქრობელი ვარსკვლავი აგედევნებათ.

* * *

მგონი, სულ რაღაც სამასი წლის წინათ ადამიანები წერდნენ: „პრინცესა კლევსკაიას“, მთელი ცხოვრება მიდიოდნენ მონასტერში, სიცოცხლის ბოლომდე იქ რჩებოდნენ უბედური სიყვარულის მსხვერპლად – აგრე იცოდნენ ძველად სიყვარული. რა თქმა უნდა, ჩვენს დროს ზოგნი თავს იკლავენ, ოღონდ იმათი ტანჯვა-წვალება ეთანადება აუტანელ კბილის ტკივილს, რის გამოც კედლებზე ადიან. სიყვარულთან ამას არცრა კავშირი არა აქვს რა.

* * *

და მაინც მიყვარდნენ ისინი და მიყვარან, რის უკანაც არცრა ფარულ აზრს არა ვმალავ. ოღონდ მოთხოვნილება მაქვს – უეჭველი – სიტყვით გამოვხატო ისინი. იმათ ისე არ ესმით თავიანთი თავი, როგორიც ისინი – მე მესმის. აგრეთვე იმათი ძირფესვების ციხესიმაგრე, იმათი დიდებული სუბსტანცია, არსი. მაგრამ რასაც ისინი უბნობენ, სულაც არ მაგულისყურებს, თუ იმ აზრს არ მივიღებთ მხედველობაში, რა აზრიც იმათივე საწინააღმდეგოდ იმათსავე სიტყვებშია... სუყოველი იმათი განზრახვა თუ გულის წადილი გულს მიმსჭვალავენ, და ისინი გაცილებით უფრო ახლოისად არიან ჩემთან, ვიდრე ისინი თავიანთ თავთან არიან.

* * *

არ მესმის, როგორ შეიძლება რომ მავანი ჩემი ღირსი იყვეს. მე ხომ ჯილდო არა ვარ. ანდა როგორ შემიძლია ვისიმე ღირსი ვიყვე? მე არცრის ღირსი არა ვარ, და სხვაგვარად ფიქრი არ ძალმიძს.

პიროვნება

შენ ააგე შენი მყუდრო სამყაროუკა, ყრუდ ამოქოლე სინათლისკენ გაჭრილი სუყოველი სანათური, როგორც რომ თერმიტებს სჩვევიათ. დამრგვალდი, დაგორგალდი შენს ობივატელურ კეთილდღეობაში, ზნეჩვეულებაგამრუდებული, დრომოჭმულ პროვინციალურ წყობაში, შენ შექმენი ეს უბადრუკი ბურჯი და თავს იცავ ქარისგან, ზღვის ფრთონისგან და ვარსკვლავთაგან. არა, თავს არ იწუხებ დიდი ამოცანების ამოხსნით, ისედაც კარგაძალი ჭაპანწყვეტა დაგჭირდა იმისთვის, რომ გეხილა შენი ადამიანად ყოფნა. არა, შენ სივრცეში დაქანებული პლანეტის მცხოვრები არა ხარ, შენ არ იძლევი ისეთ შეკითხვებს, რომელთაც პასუხი არა აქვთ: შენ ოდენ ქალაქ ტულუზის ობივატელი ხარ. არცვის თავის დროზე არ შეუჩერებიხარ, ახლა კი ნამეტანი გვიან არის. რომელი თიხისგანაც გამოძერწილი ხარ, გამოშრა, გახმა და არცრა შეუძლია, რომ გააღვიძოს შენში მიძინებული მუსიკოსი, მგოსანი, ანდა ვარსკვლავთმრიცხველი, რომელიც ოდესღაც ცოცხლობდა შენში.

* * *

ადამიანად ყოფნა იმას ნიშნავს, რომ ყველაფერზე გრძნობდე შენს პასუხისმგებლობას.

* * *

ცხადია, სრულქმნილება მხოლოდ მაშინ კი არ მიიღწევა, რის მისამატებელი უკვე არცრა არის, არამედ მაშინ, რის გამოსაკლები აღარ არის არაფერი.

* * *

ჩვენს სამყაროში ყოველივე ცოცხალი თავის მსგავსს მიელტვის, ის კი არა, ქარისგან წახრილი ყვავილიც სხვა ყვავილებში ირევა, გედსაც გედი ურჩევნია ყოველსავე, ოდენ ადამიანები იკეტებიან მარტოობაში.

* * *

ის თავისუფალი იყო ჩვენს სამყაროში, ის კი არა, მეტისმეტადაც თავისუფალი მიაბიჯებდა დედამიწაზე. ერთი ეგ იყო, კაცობრივ ურთიერთობათა ის ტვირთი არა ჰყოფნიდა, რისგანაც მძიმდება ნაბიჯი, არა ჰყოფნიდა ცრემლი, გამოთხოვებანი, საყვედურები, სიხარულები – ყოველივე, რაც ადამიანს იცავს.

* * *

თითქოს, ის ფრთალაღი ანგელოზი იყო, რათა ადამიანებში ეცხოვრა, არც კიდევ სიცელქეს გაურბოდა – ქამარში ბრპენის ნაჭერს გაირჭობდა ხოლმე.

* * *

შენ შენთა საქმეთა შიგან არსებობ და არა ტან-სხეულში. შენ შენივე მოქმედება ხარ, სხვანაირი შენ არ არსებობ.

* * *

საღი აზრი? ამ აზრის ამოცანაა ცხოვრების ახსნა, როგორც უნდა, ისე დაიგრიხოს.

* * *

ნაღველი ის არის, როს თავად არ იცი, რას ელოდები...

* * *

ჯეშმარიტება ის არის, რაც იმის ნებასა გვრთავს, რომ ეს სამყარო უმარტივესად მოვიხილოთ, და სულაც ის არ არის, რომ ხილული სამყარო გავაქაოსოთ.

* * *

ჯეშმარიტება ის არის, რის დამტკიცებაც შესაძლებელია, ჯეშმარიტება სიმარტივეშია.

* * *

ლოგიკურად ყოველივეს დამტკიცება შეიძლება, რასაც ინდომებ.

* * *

პატორღა იქ არის, სადაც წერაქვის დარტყმა უაზრობაა, სადაც შრომა არ აერთიანებს ადამიანებს.

* * *

ექიმი ავადმყოფის გასინჯვისას ყურს არ უგდებს იმის კვნესას: ექიმისთვის მნიშვნელოვანია სენშეყრილის განკურნება. ექიმი საყოველთაო კანონით მსახურებს.

* * *

ეს დაუკმაყოფილებლობის მარადიული გრძნობა იმიტომ წარმოიქმნება, რომ ადამიანს თავის განვითარებაში არ მიუღწევია მწვერვალისთვის და ჩვენ კიდევ გვეჭირვება როგორც საკუთარი თავის, ისე სამყაროს გაგება.

* * *

როცა ჩვენ შევიგნებთ ამქვეყნად ჩვენს დანიშნულებას, თუნდაც ყოვლის უფრო მოკრძალებულსა და შეუმჩნეველს, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია გაბედნიერება. მხოლოდ მაშინ შევძლებთ მშვიდად ცხოვრებასა და სიკვდილს, იმდენად, რამდენადაც რაც სიცოცხლეს ააზრიანებს, სიკვდილსაც იგივე ხდის აზრიანს.

* * *

მეტისმეტად ბევრია ამქვეყნად ისეთი ადამიანი, ვისაც არცვინ ხელი არ აღუჰყრო გამოსაღვიძებლად.

* * *

შეუძლებელია ერთ ადგილას ფეხმოცვლილად ჯდომა, – რა იცი, იქნებ იქვე სადმე ოაზისია.

* * *

ელოდა, რომ ცხოვრება თვითონ ანიშნებდა რასმე, მაგრამ ვერ მოილოდინა.

* * *

შევცქეროდი იმის ბრტყელ შუბლს, დაბურცულ ტუჩებს და ვფიქრობდი, რომ ნამდვილად მუსიკოსის სახე აქვს, ნამდვილად პატარა მოცარტია-მეთქი – ცოცხალი დაპირება იყო ჩემ წინ! თითქოს ზღაპრიდან მოვლენილი პატარა უფლისწული გამომეჭიმა, დიდმომავლიანი, მუდმივი გონივრული გრძნობით გამთბარი, რომელსაც ყოვლის უფრო თამამი იმედების ხორცშესხმა ძალედვა.

* * *

ოდეს ბაღში მრავალი ცდის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, გამოიყვანენ ახალ ვარდს, მებაღენი ერთობ ღელავენ. იმ ვარდს სხვათაგან აცალკევებენ, მუდმივად თავს დასტრიალებენ, ასათუთებენ და ეფერებიან, მაგრამ ადამიანები უმებაღეოდ იზრდებიან. პატარა მოცარტი, როგორც ყოველნი, იმავე საოცარი წნეხის ქვეშ ექცევა და იწყებს ტკბობას მდარე ხარისხის დუქნური მუსიკით. მოცარტი განწირულია.

* * *

ჩვენ ყველას გვეჩვენება, რომ მანქანა ღუპავს ადამიანს, – მაგრამ შესაძლებელია და საქმე ის არის, რომ ნამეტნავად სწრაფად იცვლება ჩვენი ცხოვრება და ჩვენ არ შეგვიძლია ამ ცვლილებათა გვერდიდან მოხილვა... ჩვენი შინაგანი სამყარო შეძრულია ძირიძირობამდე. თუმცაღა, დარჩნენ სიტყვები – განშორება, არყოფნა, შორეთი, დაბრუნება, რომელთა აზრიც ისეა შეცვლილი, რომ აღარ გვეცნაურებიან. დღევანდელი სამყაროს ასათვისებლად გუშინდელი სამყაროს სიტყვისკონას ვიყენებთ და გვეჩვენება, რომ წარსულში ცხოვრება ეხმატკბილებოდა კაცობრივ ბუნებას, მაგრამ აგრე იმიტომ გვეჩვენება, რაკი შეხმატკბილებულია ჩვენს მადლიან ენასთან.

* * *

ცხადია, მოწოდება გვშველის ჩვენში ადამიანის აღზრდაში, ოღონდ კიდევ ის არის საჭირო, რომ ადამიანმა გაალაღოს თავისი მოწოდება.

* * *

ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს მართალი იყო თუ არა, გონივრული იყო თუ არა ის ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები, შესაძლოა, მავანმა პოლიტიკოსმა რომ ჩათესა შენში, მაგრამ რახან იმ თესლმა გაიხარა შენში, შენს სულში და ამოიღოჯა კიდეც, მაშასადამე, ნოყიერ ნიადაგში მოხვედრილა.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

თავისუფალ დროს ახალ წიგნზე მუშაობისას.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15-19

სამცხე-ჯავახეთის კულტურისა და ისტორიის მეცნიერი

5 თებერვალს ჩვენს თანამოკალმეს, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს, შესანიშნავ პროფესიონალსა და უღალატო მეგობარს ავთანდილ ბერიძეს 70 წელი შეუსრულდება...

მეცნიერ! ეს სიტყვა სავსებით მიესადაგება ბატონი ავთანდილის ღვაწლს. წინათ თუ ჩვენი წინაპრები თორ-აბჯარასხმულნი დღედაღამ დარაჯობდნენ ჩვენს სამშობლოს, ახლა ბატონი ავთანდილი თავისი კალმით და დაუღალავი პატრიოტიზმით (თანამოაზრეებთან ერთად) იცავს ერთ დიდ ციხეს — სამცხე-ჯავახეთის კულტურას და ისტორიას. იცავს „თავის“ გაზეთში დანთებული შემოქმედებითი ცეცხლით, პრინციპულობით და დამაჯერებლობით.

„შემოქმედებით ცეცხლში“ იგულისხმება აგრეთვე 2008 წელს აღდგენილი პოეზიის საღამო **დღესასწაული „შოთაობა“** და გაზეთის მიერ გამოცხადებული **ლიტერატურული კონკურსი,** რომელშიც მთელი საქართველოს სიტყვის ოსტატნი მონაწილეობენ.

„ლიტერატურული მესხეთი“ თავისი შინაარსით და ლიტერატურული პროდუქციის ხარისხით ტოლს არ უდებს რესპუბლიკაში გამომავალ სხვა ლიტერატურულ გაზეთებსა და ჟურნალებს; ასევე „შოთაობა“ ერთ-ერთ ეროვნულ სახალხო დღესასწაულად ითვლება მთელ ქვეყანაში, ხოლო ლიტერატურული კონკურსიც ასევე ერთ-ერთი პრესტიჟულია.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი (სხვებს ნუ ეწყინებათ): ბოლო 20 წელია, მესხეთ-ჯავახეთის კულტურა და განათლება დგას ორი ბერიძის მხრებზე: **ავთანდილ** და **მერაბ ბერიძეებზე;** ახალციხის უნივერსიტეტის დამაარსებლის, დიდი ხნით მისი რექტორის (ამჟამად რექტორის მოადგილის), მეცნიერისა და პოეტის, ბატონი **მერაბ ბერიძის** დაბადების 70 წლისთავი შარშან აღნიშნა მთელმა საქართველომ. ვსარგებლობ შემთხვევით და პირადად ჩემი და **გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის სახელით ბატონ მერაბს ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს!**

2015 წლის აგვისტოში გაზეთის მე-200 საიუბილეო ნომრის გამოშვებასთან დაკავშირებულ ჩემს წერილში ვწერდი: „ლიტერატურული მესხეთის“ ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას მოუთმენლად იმიტომაც ველი, რომ მისი ფურცლებიდან შემომანათებს ქართული ეთნოსი, ქართული ფოლკლორი, მშვენიერი პოეზია, პროზა, კომპეტენტური ავტორების მეცნიერული წერილები... **გადაუჭარბებლად ვამბობ: მაოცებს ბატონი ავთანდილის რუდუნება, შრომისმოყვარეობა, საინტერესო ავტორთა მოძებნის უნარი, მართლაც ხალასი პატრიოტიზმი და პიროვნული დიდბუნებოვნება!...**

რასაკვირველია, ამ აზრზე ვარ დღესაც! ბატონი ავთანდილი უზადო პიროვნებაა, ის სანთელია, რომელიც თვითონ იწვის და სხვას გზას უნათებს! „შოთაობის“ თითქმის ყოველ დღესასწაულს დავსწრებივარ. აქ ცხადდება პოეზიის კონკურსში გამარჯვებულთა ვინაობა. ბატონ ავთანდილს საოცრად უხარია ამ კონკურსით ახალგაზრდა ნიჭიერ ავტორთა აღმოჩენა და სცენიდან საჯაროდ გამოცხადება: **ამ „შოთაობის“ გამართვა და გამარჯვებულთა გამოცხადება მარტო იმიტომაც ღირდა, რომ ესა და ეს ავტორი აღმოვაჩინეთო!**

შარშან გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ მთელი ერთი გვერდი მიუძღვნა ბატონ ავთანდილს. ამ ინტერვიუში აღნიშნული აქვს, რომ მისი ერთ-ერთი ჰობია „ლიტერატურულ მესხეთზე“ ფიქრი. რომ იცოდეთ, მართლაც რამდენს ფიქრობს თავის გაზეთზე. მთელ მესხეთს, რომ იტყვიან, ფეხით შემოივლის ხოლმე და სთხოვს ორგანიზაციებს თუ ცალკეულ პიროვნებებს, რომ გამოიწერონ გაზეთი. მუდმივად სპონსორების ძებნაში და ფინანსურ გაჭირვებაშია, მაგრამ გაზეთს მაინც აცოცხლებს და „შოთაობას“ კვლავ მართავს.

ბატონი ავთანდილი შესანიშნავი პოეტია. იგი საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის განყოფილების ხელმძღვანელია. ახლახან გამოსცა (რასაკვირველია, სპონსორების დახმარებით) ლექსების მორიგი კრებული **მარადიული ვალი“.**

რა არის ეს მარადიული ვალი? — **კაცურკაცობით მიღწეული სამშობლოს ფანასკერტელობა და მეციხოვნეობა!** წიგნი სავსეა არა მხოლოდ ზნეობრივი სიმაღლეების გადმოცემის პერიპეტიებით, არამედ იმ დიდი ტკივილებით, რაც დღეს საქართველოს სჭირს.

მოვუსმინოთ: **„მთლად გამომგულა ბოღმამ და სევდამ, ლამის ვიტირო და ვიღრიალო, სადა ხარ, სადა, ხმა ამოიღე, ჯიშო ქართულო, შე მადლიანო!“...**

ესეც ხომ ჭეშმარიტებაა: **„რა დრო დამდგარა, არაკაცნი კისერზე გვაზის, სწავლას და ცოდნას დაუკარგავს, ღმერთმანი, ფასი“...**

მან გამოსცა სქელტანიანი „მესხეთი ქართულ პოეზიაში“, „მესხური ფოლკლორის“ I ტომი. გამზადებული აქვს II და III ტომიც და ფინანსების მოძიების შემდეგ მათაც გამოსცემს. დაუცხრომლად იღვწის, 70 წლის ასაკი სულაც არ ეტყობა!

თვეში ერთხელ შემოაღებს ხოლმე „ბორჯომის“ რედაქციის კარს. ბავშვივით გვიხარია მისი გამოჩენა. თავისი ხმის ტემბრითაც დადებით აურას და კეთილშობილებას ასხივებს.

მას მიკუთვნებული აქვს: „ქართული კულტურის დესპანის“, „ქართული მწერლობის ამაგდარის“ და „ქართული კულტურის რაინდის“ წოდებები.

ვუსურვებთ ბატონ ავთანდილს — ქართული კულტურის ამ დაუღალავ მეციხოვნეს, კვლავაც მტკიცედ იდგეს ღვთისგან ბოძებული ქართული ცნობიერების და სიტყვიერების სადარაჯოზე!

უშანგი ჯანგირაშვილი,
ბორჯომი.

დაჯილდოვეს საქართველოსთვის გაწეული მხარდაჭერისთვის

გაერთიანებულ **სამეფოში საქართველოს ელჩის თამარ ბერუჩაშვილის ინიციატივით, საქართველოსთვის გაწეული მხარდაჭერისა და ორ ქვეყანას შორის საპარლამენტო ურთიერთობების გაღრმავებისთვის, დიდი ბრიტანეთის პარლამენტში საქართველოს საკითხებზე პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელის ჯონათან ჯანოგლის დაჯილდოება გაიმართა.**

დაჯილდოების ცერემონიაზე თამარ ბერუჩაშვილმა სიტყვით გამოსვლისას მიმოიხილა ქართულ-ბრიტანული ურთიერთობები, ყურადღება გაამახვილა ორ ქვეყანას შორის წარმატებულ საპარლამენტო დიპლომატიაზე და ამ კუთხით ჯონათან ჯანოგლის განსაკუთრებულ წვლილზე. ელჩმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს საკითხებზე პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფის საქმიანობასა და საქართველოსადმი განსაკუთრებულ მხარდაჭერას. თამარ ბერუჩაშვილმა ჯონათან ჯანოგლის გადასცა სიგელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანის ხელმოწერით. თავის მხრივ, ბრიტანელმა პარლამენტარმა მადლობა გადაუხადა ქართულ მხარეს დაჯილდოებისთვის და მზადყოფნა გამოთქვა, მომავალშიც აქტიურად გააგრძელოს მუშაობა, რომ საქართველო მუდამ იყოს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის დღის წესრიგში.

„ფრონტერას“ ყოფილი თანამშრომლები პერმანენტულ აქციებს აანონსებენ

ნავთობგმოპოვებელი **კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ ყოფილ თანამშრომლებს საქართველოს პროფკავშირების წარმომადგენლები დედოფლისწყაროში შეხვდნენ. შეხვედრაზე მათი კუთვნილი დავალიანებების შესახებ ისაუბრეს და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს. შეხვედრაზე ითქვა, რომ აუცილებელია, საზოგადოებას სწორი და მიუკერძოებული ინფორმაცია მიეწოდოს, რისთვისაც კომპანიის უკვე ყოფილი თანამშრომლები პერმანენტულ აქციებს აანონსებენ.**

დედოფლისწყაროელებმა კონგრესმენების წერილების შინაარსი გააპროტესტეს, რომელშიც კომპანიისთვის საქმიანობის ხელის შეშლაზეა საუბარი. აქციის მონაწილეების თქმით, სანამ დავალიანებები არ ჩაირიცხება, კომპანიას დედოფლისწყაროში ნავთობის მოპოვებისა და სამუშაოების გაგრძელების უფლებას არ მისცემენ.

„ვამბობთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ხელს კი არ უშლის ამერიკული კომპანიების საქართველოში მოღვაწეობას, არამედ პირიქით, მაქსიმალურად ეხმარება, რაზეც საქართველოში 1997 წლიდან მათი საქმიანობაც მეტყველებს“, — ამბობენ აქციის მონაწილეები. „ფრონტერას“ წინააღმდეგ სახელმწიფოს დავა საერთაშორისო არბიტრაჟში აქვს დაწყებული. კომპანია „ფრონტერას“ 84

თანამშრომლის 11-თვიანი, ჯამში მილიონ ლარამდე დავალიანება აქვს. თანამშრომლებმა კომპანია „ფრონტერას“ სასმართლოში ერთი თვის წინათ უჩივლეს.

აჭარაში 0.5 მლრდ ლარის საინვესტიციო პროექტი განხორციელდება

კომპანია „გრინ რეზორტმა“ ქობულეთის უპრეცედენტო საინვესტიციო პროექტზე მშენებლობის ნებართვა მოიპოვა. ნახევარი მილიარდი ლარის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში კომპანია პირველი ვილის სამშენებლო სამუშაოების დაწყებას უახლოეს პერიოდში გეგმავს. აღნიშნული ვილა შოურუმისა და კომპანიის ადგილობრივი ოფისის ფუნქციებს შეასრულებს. იგეგმება კომპლექსის შიდა გზის და კომუნიკაციების სამუშაოების დაწყებაც.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მწვანე ქალაქის მულტიფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი უკვე დაამტკიცა. განაშენიანების გეგმის თანახმად, კომპლექსის ტერიტორიის 70%-ს რეკრეაციული ზონა დაიკავებს.

აჭარის ისტორიაში ეს ყველაზე მასშტაბური საინვესტიციო პროექტია და სრულად ფინანსდება ევროპული კაპიტალით. უმსხვილესი ინვესტიცია აჭარის ოთხსეზონიან კურორტად გადაქცევას უზრუნველყოფს. პროექტის მშენებლობისას და შემდგომ ოპერირებისას 500 ადამიანი დასაქმდება.

„მწვანე ქალაქის“ პროექტში გათვალისწინებულია გოლფის მოედანი, საფეხბურთო მოედნები, საჩოგბურთო კორტები, საცურაო აუზები, რეკრეაციული ზონები. ასევე, აშენდება 250-ნომრიანი მაღალი კლასის სასტუმრო და ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპა-ცენტრი ევროპაში. პროექტი ასევე სავაჭრო ცენტრს, 500 ავტომობილისთვის პარკირებას და ვერტმფრენის დასაჯდომი ადგილის მოწყობას მოიცავს. სასტუმროსა და გამაჯანსაღებელი ცენტრის მართვა საერთაშორისო ბრენდის მიერ განხორციელდება. „გრინ რეზორტის“ მშენებლობისას ენერგოეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალები იქნება გამოყენებული. ტერიტორია ელექტრომობილების დასამუხტი სადგურებით, მზის ენერგიის პანელებით და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიებით იქნება აღჭურვილი.

სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

სახელმწიფო **სამედიცინო ჰოლდინგის ახალ ხელმძღვანელად გიორგი ჩოგოვაძე დაინიშნა. სამედიცინო ჰოლდინგის ახალი დირექტორი ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ წარადგინა.**

ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, სამედიცინო ჰოლდინგში, პირველ ეტაპზე, თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფო, უნივერსალური სამედიცინო ცენტრი (ონკოლოგიური) და ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო შევა.

„კლინიკების განვითარების გეგმა შეეხება მათ აღჭურვას, პროფილს, ეფექტურ მართვას, ხარისხის გაუმჯობესებას. ჩვენ ვიზრუნებთ ყველა იმ საჭირო კუთხით განვითარებასა და პერსპექტივაზე, რომელიც ამ კლინიკებს, მათ სამედიცინო პერსონალს და, რა თქმა უნდა, ჩვენს მოქალაქეებს ესაჭიროებათ“, — აღნიშნა ეკატერინე ტიკარაძემ.

ეკატერინე ტიკარაძე: გვაქვს რესურსი, რომ გავუმკლავდეთ კორონავირუსს

სამი პაციენტი, რომელიც ინფექციური საავადმყოფოს ბოქსირებულ განყოფილებაში მკურნალობს, ამ ეტაპზე კორონავირუსი არ უდასტურდებათ. ამის შესახებ მედიასთან საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ განაცხადა. მისი თქმით, საბოლოო პასუხი დღეს გახდება ცნობილი. შესაბამისი სინჯები გერმანიის ლაბორატორიაშია გადაგზავნილი.

ეკატერინე ტიკარაძემ კორონავირუსის პრევენციის მიზნით მიმდინარე ღონისძიებებზეც ილაპარაკა: **„უკვე კვირაზე მეტია, ტარდება პრევენციული ღონისძიებები ჩვენს სასაზღვრო ზონებზე, სადაც შემოწმებულია ყველა ის მოქალაქე, რომელზეც მიტანილია ეჭვი, როგორც პოტენციურ კორონავირუსის მატარებელზე. ამ პრევენციულმა ღონისძიებებმა გამოიწვია ის, რომ საქართველო დღემდე იმყოფება მწვანე ზონაში. ჩვენ გვყავს მხოლოდ სამი პაციენტი, რომელიც მკურნალობას გადის ინფექციურ საავადმყოფოში, მაგრამ მათაც ამ ეტაპამდე კორონავირუსი არ უდასტურდებათ. ველოდებით გერმანიიდან პასუხს, რომლითაც საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი, დაუდასტურდება თუ არა ამ სამ პირს კორონავირუსი. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს რესურსი, რომ გავუმკლავდეთ კორონავირუსს, ვინაიდან ეს არის ტიპურად მიმდინარე ვირუსი. ამ შემთხვევაში მთავარია, დროულად იყოს აღმოჩენილი დახმარება და მოხდეს პაციენტის დროული სტაციონარიზაცია“,** — განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

თურქებს სირიელებმა ცეცხლი გაუხსნეს

სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, იდლიბის პროვინციაში ოთხი თურქი სამხედრო დაიღუპა, ცხრა კი დაშავდა. ინფორმაციას ამის შესახებ თურქული ტელეკომპანია „ენ-ტი-ვი“ თურქეთის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს.

თურქეთის ძალების პოზიციებს იდლიბში სირიის სახელისუფლო არმიამ ცეცხლი გაუხსნა. თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ თურქეთის სამხედროების განთავსების პოზიციები სირიის რეჟიმთან წინასწარ იყო შეთანხმებული.

ლუგარის ლაბორატორიაში კორონავირუსის დადგენა შესაძლებელია

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განაცხადებით **„ხვალიდან ლუგარის ლაბორატორია კორონავირუსის დადგენას შეძლებს“.**

გამყრელიძის თქმით, რეფერალურ ცენტრებში სინჯების გადაგზავნის აუცილებლობა აღარ იქნება.

„გვაქვს ინფორმაცია, რომ ხვალ უკვე ძალიან დიდი ალბათობით (99,9%- ით) გვექნება საშუალება ვირუსის ამოცნობის. ჩვენ თავად გვექნება ლაბორატორიული საშუალება ლუგარის ცენტრში ამ ქვეტიპის დიაგნოსტირებისთვის, რაც ჩინეთში ცირკულირებს“, — განაცხადა გამყრელიძემ.

ცნობისთვის: ბოლო მონაცემებით, ვირუსმა ჩინეთში 361 ადამიანი იმსხვერპლა, ინფიცირებულთა რაოდენობა კი 17 200-ზე მეტია. კორონავირუსისგან კი სულ 475 ადამიანი განიკურნა.

ინფიცირებულმა ქალმა ჯანმრთელი ბავშვი გააჩინა

ჩინური მედიის ცნობით, კორონავირუსით ინფიცირებულმა ქალმა ჯანმრთელი ბავშვი გააჩინა.

ქალს კორონავირუსი ორსულობის 38-ე კვირაში დაუდგინეს. ინფიცირებულმა ქალმა ჰერბინის პროვინციის კლინიკაში იმშობიარა. ექიმების გადაწყვეტილებით, მას საკეისრო კვეთა გაუკეთეს. ახლად დაბადებულ გოგონას კვლევებით კორონავირუსი არ დაუდგინდა. ქალის ჯანმრთელობის მდგომაროებაც დამაკმაყოფილებელია. ბავშვიც და დედაც ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფებიან.

ჩინეთში კინოგადაღებები აიკრძალა

დროებით აიკრძალა კინოგადაღებები ჩინეთში კორონავირუსის გავრცელების საფრთხის გამო.

ჩინეთის ხელისუფლებამ გამოსცა სპეციალური განკარგულება, რომლითაც მსახიობებს და კინორეჟისორებს აფრთხილებს, რომ ვიდრე ქვეყანა კორონავირუსს ებრძვის, კინოგადაღებები შეაჩერონ. ხელისუფლების განკარგულების დარღვევის შემთხვევაში დარგის სპეციალისტები კანონის ფარგლებში დაისჯებიან.

მსოფლიო ეკონომიკას კრიზისი ელოდება

მსოფლიოში გავლენიანი სარეიტინგო კომპანია Moodyes-ის პროგნოზით, კორონავირუსის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე 2008-2010 წლების კრიზისზე ძლიერი იქნება. სააგენტომ ყოველკვირეული მიმოხილვა გამოაქვეყნა.

სააგენტოს ცნობით, კორონავირუსმა უკვე მოახდინა ნეგატიური გავლენა სამრეწველო ლითონის ფასების ინდექსებზე. ლითონზე ფასი 7,1%-ით შემცირდა, რაც 2017 წლის ივლისის შემდეგ მინიმალური მაჩვენებელია. ეს მსოფლიო წარმოებაზე ჩინეთის დიდი გავლენით აიხსნება. კორონავირუსმა ასევე ნეგატიური გავლენა მოახდინა აშშ-ის ობლიგაციების ბაზარზე, — წერს Moodyes. მანამდე კორონავირუსის გავრცელების საფრთხის შედეგად საფონდო ბირჟებზე ვაჭრობისას ფარმაცევტულ კომპანიების აქციები გაძვირდა.

ჰონგკონგელი მედიკოსები გაიფიცნენ

კორონავირუსის გავრცელების გამო, ჰონგკონგმა ჩინეთთან სარკინიგზო და საბორნე მიმოსვლა შეაჩერა, თუმცა საავადმყოფოების თანამშრომლები საზღვრის სრულ ჩაკეტვას ითხოვენ.

საპროტესტო აქციის ორგანიზატორი პროფკავშირის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში 4 თებერვლიდან გაფიცვას ათასობით ექიმი შეუერთდება.

თუმცა, ჰონგ-კონგის ხელისუფლება აცხადებს, რომ ჩინეთთან საზღვრის სრულად ჩაკეტვა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს ეწინააღმდეგება.

კორონავირუსით გარდაცვლილთა რიცხვი 361-მდე გაიზარდა

ჩინეთის ჯანდაცვის სახელმწიფო უწყების ცნობით, დაავადებულია სულ მცირე 17205 ადამიანი. ინფიცირებულთა შორის 2296 ადამიანის მდგომარეობა მძიმეა. ჯანდაცვის უწყების მონაცემებით, კორონავირუსის ახალით ტიპით დაავადებულებთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა დაახლოებით 190 000-მდე ადამიანს. აქედან 150 000-ზე მეტი პირი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

გარდაცვლილთა ოჯახებს კომპენსაციის სახით 80 000 დოლარი შესთავაზეს

ირანის ხელისუფლებამ „უკრაინის საერთაშორისო ავიახაზების“ თვითმფრინავის ჩამოგდების შედეგად გარდაცვლილი უკრაინის მოქალაქეების ოჯახებს კომპენსაციის სახით 80 000 დოლარი შესთავაზა. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ ტელეკომპანია „1+1“-ის ეთერში განაცხადა. როგორც ზელენსკიმ აღნიშნა, უკრაინა ამ თანხას არასაკმარისად მიიჩნევს. ამასთან, ვლადიმირ ზელენსკიმ თეირანისგან კვლავ მოითხოვა ჩამოგდებული თვითმფრინავის ბორტჩამწერების დაბრუნება.

AIRBUS-ი 3 მილიარდი ევროთი დაჯარიმდა

ევროპის უმსხვილესი, მულტინაციონალური ავიაკომპანია რეკორდული თანხით დაჯარიმდა. შესაბამისი გადაწყვეტილება ლონდონის სასამართლომ გამოიტანა. კომპანიას 3 მლრდ ევროს გადახდა მოუწევს მას შემდეგ, რაც 20 ქვეყანაში კორუფციული სქემით კონტრაქტებისთვის ქრთამი გადაიხადა.

გამოძიება 4 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ანტიკორუფციულმა სამსახურმა შედეგებს მსოფლიოს მასშტაბით ქრთამის აღებისთვის ყველაზე დიდი ჯარიმა უწოდა. გავრცელებული ინფორმაციით, კომპანიამ ქრთამი გადაიხადა მალაიზიაში, შრი-ლანკაში, ინდონეზიაში, ტაივანსა და განაში. საქმე ეხება 2011-2015 წლის პერიოდს.

ნატოს ყველაზე ფართომასშტაბიანი წვრთნა

უახლოეს თვეებში ევროპაში ნატოს ეგიდით „ცივი ომის“ შემდეგ ყველაზე მსხვილი სამხედრო წვრთნები Defender Europe 2020 გაიმართება. წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად აშშ ევროპაში 20 ათას სამხედროს გაგზავნის.

საერთო ჯამში, წვრთნებში ნატოს 18 წევრი და პარტნიორი ქვეყნის 37 ათასი სამხედრო მიიღებს მონაწილეობას. მოსამზადებელი სამუშაოები თებერვალში დაიწყება, წვრთნების ძირითადი ნაწილი კი მაისსა და ივნისში, გერმანიაში, პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებში გაიმართება.

ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, წვრთნები რომელიმე კონკრეტული ქვეყნის წინააღმდეგ არაა მიმართული.

პურპროდუქტები - წარსული და დღევანდელობა

პურთან და პურპროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებით არაერთი პუბლიკაცია გამომიქვეყნებია. სულ ახლახან (2019 წ. ოქტომბერში) საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ქართული ხორბლის ჯიშებსა და ჩვენს ქვეყანაში მისი მოყვანის ტრადიციებსა და გამრავლების საკითხებს მიეძღვნა.

საინტერესო ის გახლავთ, რომ მსოფლიოში საქართველოს გარდა მეორე ქვეყანა არ მეგულება, სადაც შვიდი უძველესი ჯიშიდან შვიდივე ერთ ტერიტორიაზე იყოს აღმოჩენილი. არის ქვეყნები, სადაც მეცნიერებმა ორი, მაქსიმუმ სამი ჯიში აღმოაჩინეს. ამ მხრივ, საქართველო ერთ-ერთი უნიკალურია. ჯიშთა გამოყვანას წლები, ტიტანური შრომა და მოთმინება სჭირდება. ფასდაუდებელია დიდი სელექციონერის, რუსი აკადემიკოსის ვავილოვის შეფასებები, რომელიც სწორედ ისეთი ხორბლის ჯიშებზე მუშაობდა და ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, თუ რა მაღალი იმუნიტეტი აქვს ხორბლის ქართული ჯიშების მდგრადობას ყინვისა და ქარისადმი. დღეს, როდესაც ვამაყობთ ქართული ღვინით, ამ ნამდვილად უნიკალური ფენომენით, არანაკლებ საამაყოა ქართული ენდემური და აბორიგენული ხორბლის ჯიშები, რომლებიც არამატერიალური მემკვიდრეობის საუკეთესო მაგალითია. ყოველივე ამან იუნესკოს ყურადღებაც მიიქცია და ქართული ენდემური ხორბლის ჯიშები მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საგანი გახდა.

არქეოლოგიური აღმოჩენებით (ვანი, შულავერი, არხალო, ვარძია, ქარელის რაიონი, სვანეთი) დასტურდება ქართული ხორბლისა და პურის წარმოების რვაათასწლოვანი ისტორია.

სასიხარულო და აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში გაჩნდა კერძო მეურნეობები, ფირმა „ლომთაგორი“ და კერძო პირები, რომლებსაც გამოჰყავთ ახალი ჯიშები, აშენებენ ძველ ჯიშებს. 2019 წელს თბილისის ბოტანიკურ ბაღში (ლ. მესხმა) **„ქართული ხორბლის მწარმოებელთა გაერთიანებამ“** მოაწყო „პურის დღე“, სადაც გამოფინეს ხორბლის ჯიშები და წარმოადგინეს პროდუქცია, რომელიც დამზადებული იყო კლასიკური მეთოდებით. თუმცა, ეს ყოველივე, ჯერჯერობით, ზღვაში წვეთია მსოფლიოში ქართული ხორბლისა და პურპროდუქტების პოპულარიზაციისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო მსოფლიოში პურისა და პურპროდუქტების ერთ-ერთ უდიდეს მომხმარებლად ითვლება, ამიტომ, პურის წარმოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და დარგს ხელშეწყობა სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან. პურის წარმოების, ბაზარზე გატანის და მომხმარებლისთვის მიწოდების საქმეში უამრავი პრობლემაა. მარტივი არ გახლავთ მეზობელ რუსეთთან ურთიერთობები, საიდანაც თურქეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს, არაბულ ქვეყნებს (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, სირია, პალესტინა) წარმატებით გააქვთ ხორბლის სასურველი და საჭირო მარაგებს ქმნიან. ჩვენ კი ხანდახან ბარიერებს ვქმნით (მანქანებით შეზღუდვა და ა.შ.). უნდა გვახსოვდეს და ვიცოდეთ — ეკონომიკურ ინტერესებს ნუ ავრევთ პოლიტიკურში, რადგან ამით ზარალდება ბიზნესი, რომ არაფერი ვთქვათ უპირველესზე — მოსახლეობის პურპროდუქტეულით დაკმაყოფილებაზე.

დღეისათვის საქართველო 800 ათას ტონა ხორბალს მოიხმარს: წელიწადში მოგვყავს 200 ათასი ტონა, დანარჩენი შემოსატანია. როგორც ინფორმირებული ვართ, საქართველოში 2247 პურის დამამზადებელი საწარმოა. მათ შორის თბილისში — 832. ფქვილის დამამზადებელი საწარმო სულ 104-ია, აქედან თბილისში — 16. „ჯორჯიან ბიზნეს ქოლსტანტინგი“ აქვეყნებს ინფორმაციას, საქართველოში პურპროდუქტების ბიზნესი ერთ-ერთი წარმატებულიაო, რაშიც, როგორც ამ დარგის გამოცდილი პროფესიონალი, ვერ და არ დავეთანხმები, რადგანაც არ შეიძლება ერთი და ორი წარმატებული კომპანიის ხარჯზე მთელი დარგი შეაფასო.

განვმარტავ: სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს საქართველოში ფქვილის შეუფუთავი (უტომრო) გადაზიდვა და ტრანსპორტირება, რაც მთელ მსოფლიოში პროგრესულ ფორმადაა მიჩნეული, მოიშალა. სანთლით რომ ეძებოთ, ფქვილის ტენიანობა 14,5% დაბლა არსად მეგულება. არა და ფქვილის სინესტეს პროდუქციის ხარისხში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ერთი-ორი საკმაოდ კარგად აღჭურვილი საწარმოსი, საქართველოში არც ერთ პურის საწარმოს არა აქვს პურის შესაფუთი ავტომატური ხაზი, რომლის ღირებულება, დაახლოებით 100-120 ათასი აშშ დოლარია. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ფქვილისა და პურის ტრანსპორტირება, რეალიზაცია და, აქედან გამომდინარე, მაღაზიებში ქეშბეკებისა და სავაჭრო აქტივობის, სავაჭრო დათმობების საკითხები, რაც პურის თვითღირებულებაზე აისახება და პურის საწარმოებზე პირდაპირ მოქმედებს. ეს კი არაჯანსაღ კონკურენციას ქმნის.

პურის დამამზადებლებთან წმინდა მოგების გაანგარიშებისას ხარჯად არ აღიარდება სასაქონლო მატერიალური მარაგები. ისინი ხარჯად აღიარდება მხოლოდ მაშინ, როცა მოხდება მათი რეალიზაცია, ან გახარჯვა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების (მასალების) ფასების ზრდის ტენდენციისას, საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, იძულებული ვართ, გვქონდეს სასაქონლო-მატერიალური მარაგების მნიშვნელოვანი ნაშთი, თუმცა ისიც ერთეულ საწარმოებშია, რადგანაც მარაგებს თავისუფალი თანხები სჭირდება, რისი ფუფუნებაც უმრავლესობას არ გააჩნია.

წარმოებისთვის აუცილებელია ტექნოლოგიური და საწარმოო მცირეფასიანი ინვენტარი, რომელიც არ კაპიტალდება და ხარჯებში არ აისახება. ხარჯად აღიარდება მხოლოდ მათი ექსპლუატაციიდან გასვლის (ჩამოწერის) შემთხვევაში. პურპროდუქტების წარმოების თავისებურებიდან გამომდინარე ტექნოლოგიური მოწყობილობები მოითხოვს შეცვლა-განახლებას. კაპიტალიზებადი ხარჯები კი ამ შემთხვევაში გაიწერება საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი წმინდა მოგებიდან, რაც საწარმოს მძიმე ტვირთად აწვება.

პროდუქტების უვნებლობის მოთხოვნების გამკაცრების გამო შეფუთვისა და მიწოდების ხარჯების ზრდა, ძირითადი მასალების ფასების ზრდის ტენდენცია, ლარის გაუფასურება პირდაპირ მოქმედებს საწარმოს დანახარჯებზე, ხოლო პურის ფასის ზრდა, გარკვეული მიზეზების გამო, შეზღუდულია, ამიტომ, საწარმო იძულებულია, მაქსიმალურად შეზღუდოს სხვა საწარმო დანახარჯები. ამას ემატება შრომის უსაფრთხოების წესი-კანონები, მათი დაცვა და საწარმოს ტექნოლოგიური გადაიარაღების აუცილებლობა.

არსებული სოციალური გარემოდან გამომდინარე, მომავალში აუცილებელია შრომის ანაზღაურების, შრომის უსაფრთხოების დანახარჯების გაზრდა და ა.შ. ყველაფერი ეს კი პურის თვითღირებულებაში აისახება.

თუ ყოველივეს გავაანალიზებთ, ძნელი მისახვედრი არ იქნება, რამდენად „წარმატებულია“ ეს ბიზნესი. მით უმეტეს, არ გვიხსენებია 18%-იანი დამატებითი ღირებულების სისტემა და მცირე წარმოებებზე (ძირითადად თონეებზე) დაწესებული ფიქსირებული გადასახადი, რომლის პროდუქცია ადგილზე უნდა რეალიზდებოდეს. თუმცა, თუ მაღაზიებსა და რესტორნებს გადახედავთ (რომლებსაც თავისი საცხობი არ გააჩნიათ), ქართული, არაქარხნული პური იყიდება ყველგან და ამას არავინ აკონტროლებს. ეს კი არათანაბარ სამეწარმეო გარემოს ქმნის.

ინფორმაციისთვის მინდა იცოდეთ, რომ მთელ რიგ ქვეყნებში, რომელსაც ხშირად ვეტოლებით, დამატებითი ღირებულების გადასახადი საკვებ პროდუქტებზე (ანუ მომხმარებლის გადასახადი) 10%-ია, რაც იმის გარანტია, რომ კვების პროდუქტი არ გაძვირდეს და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი იყოს. აგრეთვე რთულია საგადასახადო მიდგომები მიუხედავად კოდექსის 96-ე მუხლისა, რომელიც ავალდებულებს, გაითვალისწინონ მეწარმეთა რთული სამეწარმეო პირობები — გართულებულია ბანკის სესხის მიღება, დოლარის კურსი მერყეობს, დამხმარე მასალების ფასები არამდგრადია, საერთაშორისო წესები და კანონები იგნორირებულია, მთლიანობაში კი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აისახება მეწარმეებზე. მაგალითად, ენერგომატარებლებზე საკმარისია, ერთი თეთრი შეცდომით არ ჩარიცხო, რომ მყისიერად მოგთხოვენ დეპოზიტზე თანხას, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მეწარმეობას. პურპროდუქტების ბიზნესი ელემენტარულ ობიექტურ მიდგომებს მაინც ელის, რადგანაც ერთი შეხედვით მარტივი და თითქოს წარმატებული დარგი სულ უფრო უკან იწევს, არადა, მომხმარებელი კანონიერად ითხოვს ხარისხიან, მრავალასორტიმენტიან, სათანადოდ შეფუთულ პროდუქციას, ამის წარმოებას კი აუცილებლად ხელშეწყობა სჭირდება.

მალხაზ დოლიძე,
საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

შშმ პირები თავისუფლად გადაადგილდებიან

თბილისის მერიას თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოსგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქალაქში თავისუფლად გადაადგილების ხელშეწყობის მიზნით სპეციალური ლიფტები გადაეცა.

შშმ პირებისთვის განკუთვნილი ექვსი ლიფტი ქალაქის ცენტრში, მელიქიშვილის ქუჩისა და ფილარმონიის მიმდებარედ, რუსთაველის გამზირზე, მეცნიერებათა აკადემიის მიმდებარედ და თავისუფლების მოედანზე, პუშკინის სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელებში დამონტაჟდა.

ახლად დამონტაჟებული ლიფტები დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ საქართველოში თურქეთის სრულუფლებიან ელჩთან ფათმა ჯერენ იაზგანთან ერთად დაათვალიერა.

კიდევ ერთი განახლებული სახლი

ჩუღურეთის რაიონში თოიძის ქუჩა №14-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები მიმდინარეობს. შენობა, სადაც ხუთი ოჯახი ცხოვრობს, მწვავედ ავარიულია.

პროექტის ფარგლებში მონოლითური რკინა-ბეტონით სახლის საძირკველი და კედლები გამაგრდება. ასევე, მოეწყობა სეისმური სარტყელი და წერტილოვანი საძირკველი.

გამაგრების სამუშაოებს ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დაკვეთით, კომპანია „ვანანი“ ასრულებს. პროექტის ღირებულება 107 145 ლარია.

მიმდინარე სამუშაოები ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა ზურაბ ჩიკვილაძემ დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

მსგავსი ტიპის სამუშაოები ჩუღურეთის რაიონში პარალელურად ცხრა მისამართზე მიმდინარეობს.

საქართველოსთან ავიამიმოსვლის აღდგენის იდეას მოსკოვში ნეგატიურად შეხვდნენ

რუსული მედიის ცნობით, მოსკოვში, ჩინეთთან ფრენების აკრძალვით გამოწვეული ზარალის კომპენსაციის მიზნით, საქართველოსთან ავიამიმოსვლის აღდგენის იდეას ნეგატიურად შეხვდნენ, — ამის შესახებ ინფორმაციას რუსული „კომერსანტი“ ავრცელებს.

ჟურნალისტების ცნობით, კორონავირუსის გამო ჩინეთიდან ფრენების აკრძალვის საკითხი 30 იანვარს, რუსეთის ტრანსპორტის მინისტრ ევგენი დიტრიხის ხელმძღვანელობით გამართულ თათბირზე განიხილეს. აღნიშნულ თათბირზე დიტრიხმა რუსეთიდან ეგვიპტის მიმართულებით რეისების დათქმულ ვადაზე ადრე განახლების შესაძლებლობა არ გამორიცხა.

„ასევე გამოითქვა საქართველოსთან ავიამიმოსვლის აღდგენის იდეაც, რასაც ნეგატიური რეაქციებით შეხვდნენ“, — წერს „კომერსანტი“.

◎ ძალოსნობა

მედალთცვენა რომში

6 ოქროს (3-3 ლაშა ტალახაძემ და ანტონ პლესნოიმ), 3 ვერცხლისა (შოთა მიშველიძემ) და 2 ბრინჯაოს (გოგა ჩხეიძემ) მედალი მოიპოვეს ქართველმა ძალოსნებმა (ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე) რომში, სადაც ძალოსანთა სალიცენზიო მსოფლიოს თასი გათამაშდა. ასპარეზობის ბოლო დღეს (109 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვლავ შესანიშნავად იასპარეზა საჩხერელმა გოლიათმა, რიოს თამაშების გამარჯვებულმა, მსოფლიოსა და ევროპის ოთხოთხგზის ჩემპიონმა ლაშა ტალახაძემ. ქართველმა სპორტსმენმა ექვსივე ცდა წარმატებით გამოიყენა. ატაცში მან 215-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და ამ მოძრაობაში ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილებზე რუსი ანტონ სავჩუკი (184 კგ) და სარგის მარტიროსიანი (ავსტრია, 181 კგ) გავიდნენ.

ტალახაძე აკვრაშიც პირველი იყო — 255 კილოგრამით მეტოქეთათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ვერცხლისმედალოსანი სავჩუკი მას 27 კილოგრამით ჩამორჩა, ხოლო 215 კილოგრამით მესამე იყო ახალზელანდიელი

დევიდ ლიტი. ტალახაძემ და რომის ტურნირში მონაწილე სხვა ქართველმა ძალოსნებმა ტოკიოს ოლიმპიადის სარეიტინგო მაჩვენებლები გაიუმჯობესეს.

+109 კგ

1. **ლაშა ტალახაძე** (საქართველო) — 470 (215+255),
2. **ანტონ სავჩუკი** (რუსეთი) — 412 (184+228),
3. **დავიდ ლიტვინოვი** (ისრაელი) — 393 (180+213).

გივი გაგუა

◎ ევრო — 2022

ავთანდილ ასათიანი:

საქართველო მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა იდგა

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ევრო 2022-ის საკვალიფიკაციო ეტაპის წინასწარი რაუნდის ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

თბილისის ახალ სპორტის სასახლეში გამართულ შეხვედრებში „ჯვაროსნებმა“ სამივე მეტოქე დაამარცხეს და პირველობის შანსი არავის დაუტოვეს.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ავთანდილ ასათიანმა განვლილი ეტაპი ასე შეფასა:

„ამ შეხვედრებში გამოჩნდა, რომ მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა ვიდექით. მერამდენე შესარჩევი ციკლია, როდესაც ჯგუფში პირველ ადგილზე გავდივართ. მადლობა ბიჭებს, მათ ეს დავალება შეასრულეს — პლეი-ოფის თამაში და ზედმეტი ნერვიულობა ნამდვილად არ გვინდოდა. ფუტსალის მიმართ ასეთი ინტერესისა და თანადგომისთვის მადლობა მინდა, გადავუხადო გულშემატკივარსა და მედიას, ჩვენ კი მადლობას გულიანი თამაშებით გადავიხდით.საქართველოს ნაკრების მთავარი ბრძოლები და შემდეგი ეტაპი წინაა, რომლის გამარჯვებულებიც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ“ — ამბობს ავთანდილ ასათიანი.

საქართველო — გერმანია 3:1, საქართველო — ავსტრია 9:2, საქართველო — კოსოვო 6:1.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

ივერიელის თასი თბილისში დარჩა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი „დინამო არენაზე“ რუმინეთთან მატჩით გახსნა. ეს ამ გუნდების 24-ე პაექობა იყო. „ბორჯღალოსნებმა“ მოგებათა რაოდენობა 14-მდე გაზარდეს ერთი ფრისა და 9 მარცხის წილ, 2002 წლიდან რუმინეთთან საზიარო „ანთიმოზ ივერიელის თასი“ კი მეცამეტედ დაისაკუთრეს (კარპატელებს 6-ჯერ ერგოთ).

თამაშამდე იმსჯალეს იმის შესახებ, პაექრობა ჩატარდებოდა თუ არა, რადგან რუმინეთის ნაკრების რამდენიმე მორაგბე ვირუსით გახდა ავად და მაღალი ტემპერატურით ზოგიერთი საავადმყოფოშიც აღმოჩნდა.

შეხვედრა მაინც შედგა. საქართველოს ნაკრებმა დებიუტანტი მთავარი მწვრთნელის ლევან მაისაშვილის ხელმძღვანელობით ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ლაშა ხმალაძე, მირიან მოდებაძე, დავით კაჭარავა, გიორგი კვესელაძე, ალექსანდრე თოდუა, თედო აბჟანდაძე, ვასილ ლობჟანიძე; მიხეილ ნარიაშვილი (კაპ.), შალვა მამუკაშვილი, ბექა გიგაშვილი,

ნოდარ ჭეიშვილი, კონსტანტინე მიქაუტაძე, ბექა საღინაძე, გიორგი ცუცქირიძე, ბექა გორგაძე. **მარქაფა:** გიორგი ჭყოიძე, გურამ გოგიჩაშვილი, გიორგი მელიქიძე, შალვა სუთიაშვილი, მიხეილ გაჩეჩილაძე; გელა აფრასიძე, ლაშა მალაღურაძე, სოსო მათიაშვილი.

მატჩის დაწყებამდე მორაგბეებმა და ტრიბუნებზე შეკრებილმა 10-ათასამდე მაყურებელმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საფრანგეთში ტრაგიკულად დაღუპული ლეგიონერის ბექა ბურდიაშვილის ხსოვნას.

პაექრობა მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და მე-7 წუთზე ანგარიში ლელოთი აბჟანდაძემ გახსნა, გარდასახვა კი უზუსტო გამოდგა — ბურთი ძელმა აისხლიტა. პირველი ტაიმი ჩვენებმა 8:6 მოიგეს. შესვენების შემდეგ სათამაშო უპირატესობა ისევ ქართველებმა იგდეს ხელთ. ერთ მომენტში მოდებაძე უმეთვალყურეოდ დარჩა და ლელო ალამთან გაიტანა, მაგრამ გარდასახვა მიზანს ასცდა, ხოლო რუმინეთის საპასუხო შეტევა ვლაიკუმ ლელოთი დააგვირგვინა, თან რთული პოზიციიდან ზუსტად გარდასახა და წონასწორობაც აღადგინა — 13:13. ამის შემდეგ „ბორჯღალოსნები“ სრულად დაეუფლნენ ინიციატივას, სტუმრებს 4 ლელოც გაუტანეს და 41:13 გაიმარჯვეს, თან პრემიული ქულაც დაიმსახურეს.

ენდი რობინსონი, რუმინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: **„როდესაც ანგარიში 13:13 იყო, განცდა გვქონდა, რომ მეტოქეს წნეხში მოვაქცევდით, მაგრამ ეს ვერ შევძელით. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს მოთამაშეებს კარგი 60 წუთისთვის. დღეს ვეთამაშეთ ძალიან კარგ საქართველოს ნაკრებს, რომელიც მსოფლიო თასის წინ დიდი ხნის განმავლობაში იყო შეკრებაზე და შეთამაშების მხრივ პრობლემა არ ჰქონდა. გასაკვირი არაა, რომ მატჩი ასეთი შედეგით დასრულდა“.**

სხვა მატჩები: რუსეთი — ესპანეთი 12:31. ესპანელებმა 5 ლელო მიითვალეს და საპრემიო ქულაც ერგოთ. პორტუგალია — ბელგია 23:17.

9 თებერვალს საქართველო მადრიდში ესპანეთს შეხვდება.

ექვსიერი: საფრანგეთი — ინგლისი 24:17, უელსი — იტალია 42:0, ირლანდია — შოტლანდია 19:12.

თამაზ პატარიძე

◎ ჩოგბურთი

ქალებს ჰელსინკი მასპინძლობს

ფინეთის დედაქალაქში დღეს დაიწყება ჩოგბურთელ ქალთა ფედერაციის თასის გათამაშება ევროაფრიკული ზონის მე-2 ჯგუფის გუნდებისთვის. 4-7 თებერვალს აქ ითამაშებენ დანია, ეგვიპტე, ფინეთი, საქართველო (მარიამ ბოლქვაძე, ეკატერინე გორგოძე, მარიამ დალაქიშვილი, ზოზია ქარდავა, ოქსანა კალაშნიკოვა, კაპიტანი მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი), ისრაელი, მოლდოვა, პორტუგალია, ტუნისი, რომლებიც წილისყრით ორ ჯგუფში განაწილდებიან. ზედა ეშელონის ორი საგზურისთვის ჯგუფების გამარჯვებულები ჯვარედინად მეორეადგილოსნებს დაუპირისპირდებიან, ხოლო მესამე-მეოთხე ადგილებზე გასულნი მეორე ზონაში დასარჩენად იბრძოლებენ.

სუომიში გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრების წევრმა ეკატერინე გორგოძემ საფრანგეთში 60.000-იან ტურნირში იასპარეზა. ერთეულებში მან სტარტი კვალიფიკაციიდან აიღო — პირველ წრეში გზიდან ჩამოიშორა გრეტა არნი (უნგრეთი) — 4:6, 6:3, 11:9, მერე კლარა ტაისონთან (დანია) დამარცხდა — 7:6, 6:3, წყვილებში კი ნახევარფინალს უწია — კვიპროსელ რალუკა ჯორჯიანა სერბანთან შეამხანაგებულმა ჯერ ტესა ადრიან ჯაფიტრიმოს (საფრანგეთი) და კატერინა ზავატსკას (უკრაინა) დუეტს აჯობა — 6:4, 6:1, მერე ესტელა კასკინოს და ელიქს ლეჩემიას (ორივე — საფრანგეთი) სძლია — 6:3, 6:4, ნახევარფინალში ესპანელებს — მარტინა ბასოლს რიბერას და ნურია პარიზას-დიასს მოუგო — 6:4, 6:0, გადამწყვეტი პაექრობა კი რუმინელებთან — ჟაკლინ ადინა კრისტიანსა და ელენა გაბრიელა რუსესთან 2 საათსა და 5 წუთში 6:7, 7:6, 8:10 წააგო და მეორე ადგილს დასჯერდა.

ავსტრალიის ღია პირველობა. ფინალური შეხვედრები:

ვაჟები. ჯოკოვიჩი (სერბეთი) — ტიმი (ავსტრია) 3:2. ნოვაკმა დიდი შლემის მე-17 ტიტული მოიპოვა და რეიტინგის სათავეში დაბრუნდა.

ქალები. კენინი (აშშ) — მუგურუზა (ესპანეთი 2:1.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

განახლებული რეიტინგით

ფიდემ სათებერვლოდ მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. ქალთა საუკეთესო ასეულის სათავეშია ჩინელი მსოფლიოს ექსჩემპიონი ჰოუ იფანი (2664). 2583 პუნქტით მეორე ადგილზეა მისი თანამემამულე ცზიუი ვენძიუნი, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. მესამე-მეათე ადგილებს ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2580), ალექსანდრა გორიაჩკინა (2579), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2552), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2552), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2539), ვიქტორია ჩმილიტე (ლიეტუვა, 2538), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2518) და ნანა ძაგნიძე (2515) ინაწილებენ.

ქართველთაგან ასეულში აგრეთვე არიან: 24. ლელა ჯავახიშვილი (2463), 27. ნინო ბაციაშვილი (2456), 31. ბელა ხოტენაშვილი (2446), 36. მერი არაბიძე (2428), 95. სალომე მელია (2368), 99. ქეთი წაწალაშვილი (2365).

ვაჟთა წამყვანი ათეული: მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2862), ფაბიანო კარუანა (აშშ, 2842), დინ ლიჟენი (ჩინეთი, 2805), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2777), იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი, 2774), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2773), ვესლი სო (აშშ, 2770), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2770), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2770) და ტეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2765). თბილისელ ივან ჩეპარინოვს (2686) 45-ე ადგილი უკავია.

ლექსო ცინცაძე

9 ᲓᲣᲔᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲓᲣᲔᲚᲔᲑᲘ საქართველოში ნიკოლოზ ბარათაშვილით იწყება და კონსტანტინე გამსახურდიათი მთავრდება. მწერალი **ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ**, რომელმაც საქართველოში გამართული დუელების ისტორია შეისწავლა, „რადიო თავისუფლებას“ უამბობს, თუ რატომ არ დამკვიდრდა ეს ტრადიცია საქართველოში, მაშინ როდესაც ევროპასა და რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

დუელისადმი არასერიოზულ მიდგომას შესაძლოა საფუძველი დაუდო პირველმა დუელმა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა და ილია ორბელიანმა გამართეს, ძალიან კომიკურად დასრულდა.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ᲢᲐᲢᲝ ძალიან ენაკვიმატი იყო და ხშირად მასხრობდა, მათ შორის ბიძაზეც, ილია ორბელიანზე, რომელიც მისი ტოლი იყო. ერთხელაც ილიამ აღარ მოითმინა და ბარათაშვილი დუელში გამოიწვია. ტატომ სეკუნდანტებთან ერთად მორიგი მასხრობა მოიფიქრა: დამბაჩები უტყვიოდ გაამზადეს, და როდესაც ილიამ გაისროლა, ტატო, შეთანხმებისამებრ, წაიქცა.

თავზარდაცემული ილია, რომელმაც მხოლოდ ახლა გააანალიზა, რომ დისწული „მოკლა“, ბარათაშვილს მივარდა და სინჯვა დაუწყო.

„ქიშმიში მაქვს, ქიშმიში! ჯიბიდან არ ამომაცალო!“ — დაიძახა ამ დროს ბარათაშვილმა და ილია ორბელიანმაც სული მოითქვა.

წლების შემდეგ სწორედ ილია ორბელიანს მიუძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა „მერანი“, როდესაც ის შამილის ტყვეობაში იმყოფებოდა.

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲜᲘᲙᲝ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔ

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ თქმით, ილია ჭავჭავაძე კარგად ისროდა და მის ანგარიშზე შვიდი დუელი მაინც არის. ჰქონდა სადუელო იარაღის კოლექციაც — მსგავსი შერკინებისთვის ორივე დუელანტს ერთნაირი დამბაჩა უნდა სჭეროდა.

ილია ჭავჭავაძის დუელებიდან ყველაზე საყურადღებო ნიკო ნიკოლაძესთან

დაპირისპირებაა. მეგობრები ბანკსა და ქართულ ენასთან დაკავშირებულ საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ და საქმე შერკინებამდე მივიდა.

როდესაც ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, ნიკოლაძის სეკუნდანტი, რუსი პოეტი სიმბორსკი, ატირდა: ერთ-ერთი თქვენგანი დაიღუპება და ქვეყანას რაღა ეშველებაო. ამან ილიაც მოიყვანა გონზე და ნიკოც. იარაღი შეინახეს.

ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ �თᲔᲓᲝ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ

ᲘᲒᲘᲕᲔ ისტორია განმეორდა მაშინაც, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილმა თედო ჟორდანია გამოიწვია დუელში.

„ჟორდანია ამტკიცებდა, „მატიანე ქართლისა“ მე გადმოვწერე და ილიას დავუტოვე, მერე, როგორც ჩანს, ილიამ ექვთიმეს აჩვენა, მან კი თავისი სახელით გამოაქვეყნაო... გადაირია ექვთიმე“, — ამბობს როსტომ ჩხეიძე.

საქმეში ილია ჭავჭავაძე ჩაერია: საქართველოს ისტორიაზე სულ ორი კაცი მუშაობთ და ერთ-ერთი რომ დაიღუპოს, მერე რას შვრებითო. საბოლოოდ, ილიას დაჟინებით, ჟორდანიამ ბოდიში მოიხადა.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲐᲙᲝᲑᲝᲕᲘᲩᲘ

ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘ მონაწილეობდა ოთხმხრივ დუელში, რომელშიც, უშუალოდ დაპირისპირებული მხარეების გარდა, სეკუნდანტებიც უნდა შებრძოლებოდნენ ერთმანეთს. სეკუნდანტები გრიბოედოვი და ცნობილი დეკაბრისტი იაკობოვიჩი იყვნენ.



დუელის პირველი ნაწილი პეტერბურგში ჩატარდა, მეორე კი თბილისში, სადაც გრიბოედოვი და იაკობოვიჩი ერთმანეთს შემთხვევით გადაეყარნენ. გრიბოედოვს ტყვია მხარში მოხვდა. მოგვიანებით სწორედ ამ ჭრილობით ამოიცნეს მისი ნეშტი, როდესაც ფანატიკოსები თეირანში რუსეთის საელჩოს დაესხნენ თავს და ყველა ამოჟლიტეს.

(დასასრული იქნება)

ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ

შვილი რუსუდან შალამბერიძე, შვილიშვილები ირინა, ნინო გაგუები, სიძე ილია გოცაძე, შვილთაშვილები დათო, ნინო გოცაძეები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი

ᲗᲘᲜᲐ ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲔ

პანაშვიდი 4, 5 II, 17 სთ. მისამართი ხეთაგუროვის ქ. №4, III სადარბაზო, მე-5 სართული, ბინა 58. გამოსვენება წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან (ხეთაგუროვის ქუჩიდან) 6 II, 14 საათზე.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲘᲚᲣ�პᲐ ᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲗᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ?

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ, სადეპორტო განყოფილებაში, გაურკვეველ და საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქე, ვახო ჯოხაძე სამშობლოში უკვე ჩამოასვენეს.

ვახო ჯოხაძეს მშობლიურ ქალაქ ჭიათურაში დღეს დაკრძალავენ. სამოქალაქო პანაშვიდი ჭიათურის ხარების სახელობის ტაძარში შედგება.

იტალიაში საქართველოს საკონსულოს ინფორმაციით, მიცვალებულზე ჩატარებული ექსპერტიზის წერილობითი დასკვნა 60 დღეში გახდება ცნობილი.

პირველადი ინფორმაციით, კი 37 წლის ქართველი ემიგრანტის გარდაცვალების მიზეზი ფილტვის შეშუპება გახდა.

ცნობისთვის, ექსპერტიზას, რომელიც 27 იანვარს ჩაუტარდა ვახო ჯოხაძის ცხედარს, სახალხო დამცველის მიერ საქმეში ჩართული დამოუკიდებელი ექსპერტიც ესწრებოდა.

ქართულ მხარეს იმედი აქვს, რომ ვახო ჯოხაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სრული სიმართლე გაირკვევა.

ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ

** თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.**

მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ ლოჯისტიკურ სარდლობას დაქვემდებარებულ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ათეულის მეთაურმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სხვა ათეულის რიგითს. კონფლიქტის მიზეზი ათეულის მეთაურის მიერ რიგითისათვის მიცემული შენიშვნა გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ რიგითის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო და გარეგნული დათვალიერებით არ აღენიშნებოდა არავითარი დაზიანება, პრევენციის მიზნით ის გადაიყვანეს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც გაიარა დეტალური სამედიცინო შემოწმება, რის შემდეგაც ექიმის დასკვნის საფუძველზე ის მაშინვე გაწერეს დაწესებულებიდან.

საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში თავდაცვის სამინისტრო ატარებს შესაბამის მოქმედებებს და გამოძიების შედეგების შესაბამისად მიიღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ზომას.

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲡᲐᲜᲓᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ 80 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲡ ᲓᲐᲔᲯᲐᲮᲐ

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ კობალაძის ქუჩაზე გუშინ დილის 7:00 საათზე მოხდა. 80 წლამდე ქალი ადგილზე გარდაიცვალა.

„მძღოლი პოლიციაში თავისი სურვილით გამოცხადდა. კადრებში ნათლად არ ჩანს, დაეჯახა თუ უკვე გარდაცვლილს გადაუარა. ცხედარი მოულოდნელად გაჩნდა“, — განაცხადა სანდასუფთავების მონიტორინგის სამსახურის უფროსმა შოთა თოდაძემ. სანდასუფთავების უფროსის დავით დუმბაძის განცხადებით, მძღოლმა დილით შემოწება გაიარა და ფხიზელი იყო. **„მძღოლი დამიკავშირდა და მითხრა, ქალი შემომივარდაო“,** — განაცხადა დუმბაძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, საქმეზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ᲖᲦᲕᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲪᲮᲔᲓᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲧᲐ

ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ **სამედიცინო სამსახურის ბრიგადამ ცხედარი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენა. ადგილზე კრიმინალისტები მუშაობენ.**

„ვებსტერი“ საქართველოში შემოდის

წამყვანი ამერიკული უნივერსიტეტი, საერთაშორისო განათლების ლიდერი „ვებსტერი“ (Webster University), რეგიონში პირველ კამპუსს საქართველოში, „სილიკონ ველი თბილისის“ ტერიტორიაზე გახსნის, სადაც ქვეყნის ყველაზე სწრაფად მზარდი და ინოვაციური უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (BTU) მდებარეობს. ამის შესახებ ინფორმაციას ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ავრცელებს.



„ვებსტერის“ კამპუსები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის – ჰოლანდიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, საბერძნეთში მდებარეობს.

BTU-ს ცნობით, „ვებსტერის“ უნივერსიტეტის რეგიონში შემოსვლა ახალგაზრდებს მისცემს შესაძლებლობას, 2021 წლიდან ამერიკული განათლება და დიპლომი საქართველოში, ქვეყნის დატოვების გარეშე მიიღონ.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ინოვაციური პროგრამები და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გადამზადების პროგრამა, მაღალი ხარისხი და მნიშვნელოვანი პარტნიორები, ძლიერი ტექნოლოგიური ბაზა, მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიები, შექმნილი ეკოსისტემა – ეს იმ მიზეზების ნაწილია, რის გამოც ამერიკულმა უნივერსიტეტმა არჩევანი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტსა და სილიკონ ველი თბილისზე გააკეთა.

„ვებსტერის“ უნივერსიტეტი 2000-მდე კვადრატული მეტრის ფართობზე სილიკონ ველი თბილისის ტერიტორიაზე განთავსდება, სადაც ლაბორატორიები, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამუშაო სივრცეები მოეწყობა.

Forbes-ის უნივერსიტეტების 2019 წლის ტოპ რეიტინგში შეული „ვებსტერის“ უნივერსიტეტი დაარსების დღიდან, 1915 წლიდან ლიდერობს და დღეს ფლობს კამპუსებს ჩრდილოეთ ამერიკის, ევროპის, აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე.

აბასთუმნის ობსერვატორიის რეაბილიტაცია დასრულდა

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.



უწყების ინფორმაციით, ობსერვატორია დამატებით ფუნქციას შეიძენს, მასში განთავსდება ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრი, კაფე, მოეწყობა საგამოფენო და სამუშაო სივრცე და აღდგება არსებული ბიბლიოთეკა.

კეთილმოეწყო ობსერვატორიის მიმდებარე ტერიტორია.

ყველაზე მაღალი თოვლის კაცი

ავსტრიელი თოვლის კაცი გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში მოხვდება.

მსოფლიოში ყველაზე მაღალი თოვლის კაცი შტირიის ფედერალურ მიწაზე სამთო-სათხილამურო კურორტ რიზნერალმში დადგეს. მისი სიმაღლე 38 მეტრს აღწევს. ქანდაკების შესაქმნელად ავტორებს 800 ტონა თოვლი დასჭირდათ.

თოვლის კაცს სახელად Riese შეურჩიეს, რაც გერმანულად „გოლიათს“ ნიშნავს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).



პირველყოფილი ადამიანების გენები აფრიკელებში

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ აფრიკელების დნმ ნეანდერტალელი ადამიანების გენებს შეიცავს.

გამოცემის ინფორმაციით, სპეციალისტები დიდი ხანია, თანხმდებოდნენ იმაზე, რომ ევროპელი და აზიელი ჰომო საპიენსების დნმ-ში 2% ნეანდერტალელების გენებს შეიცავს. თუმცა პრინსტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეს გენები თანამედროვე აფრიკელების დნმ-შიც მოიპოვება. აქამდე ეს შეუძლებლად ითვლებოდა, რადგან აფრიკელების წინაპრებს ნეანდერტალელ ადამიანთან, რომელიც ევრაზიაში ბინადრობდა, კონტაქტი არ ჰქონდა.

მეცნიერები ამას უკუმიგრაციით ხსნიან. მათი თქმით, 200 000 წლის წინათ აფრიკიდან ნიდერლანდების ტერიტორიაზე ჰომო საპიენსების ჯგუფი მივიდა. ევროპაში ისინი ნეანდერტალელებს შეხვდნენ და როგორც ეს ხშირად ხდებოდა, ორ სახეობას შორის საკმაოდ ახლო კონტაქტი დამყარდა. შემდეგ კი ამ ჯგუფის შთამომავლები აფრიკაში დაბრუნდნენ და კონტინენტზე ნეანდერტალელი ადამიანების დნმ გაავრცელეს.

კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ თანამედროვე ევროპელების და აზიელების დნმ ნეანდერტალელების გენების პრაქტიკულად თანაბარ რაოდენობას შეიცავს, მაშინ როცა მანამდე ითვლებოდა, რომ აზიელების გენომში ნეანდერტალელების გენები 20%-ით მეტია, ვიდრე ევროპელებისაში.

ვერტიკალურ სიბრტყეზე მცოცავი რობოტი



აშშ-ში მეირლენდის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერებმა, უნიკალური რობოტი შექმნეს, რომელიც ვერტიკალურ სიბრტყეზე დაცოცავს. რობოტს სპეციალური საცეცები აქვს, რომელიც სიბრტყესთან შეხებისას ვაკუუმს ქმნის.

მეცნიერების განცხადებით, თავიდან რობოტი შალის ზედაპირზე გადაადგილებას ვერ ახერხებდა, თუმცა მოგვიანებით ეს პრობლემა დაძლიეს. რობოტს გადაადგილებისთვის წყალი სჭირდება, რომლითაც მის ფეხებზე დამაგრებული რგოლები მარაგდება.

იმის გამო, რომ ZPD ტექნოლოგიას ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით წყალი სჭირდება, შემდეგი ნაბიჯი, მკვლევარების აზრით, მისი მოხმარების შემცირებაა. მოწინავე რობოტი მთამსვლელი ალბათ გამოიყენებს წყალს საკუთარი ავტონომიური ავზიდან. ახლა მას წყალი გარე ავზიდან მიეწოდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8898; ევრო - 3.1880;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7882;
100 რუბლი - 4.5523; თურქული ლირა - 0.4831;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7018;
1000 სომხური დრამი - 6.0417.

ამინდი 4 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+7
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+7
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge